პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
ხუთშაბათი
18 იანვარი
№ 15 (17360)
ფასი 2 კაპ.

ᲨᲔᲛᲣᲨᲘᲒᲠᲔᲑᲐ ᲓᲘᲓ ᲖᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡ ᲐᲮᲚᲔᲜᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐᲖᲔ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲖᲔ. ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲐᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲗᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲐ, ᲛᲠᲝᲕᲘᲡᲐᲙᲔᲜ — ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ — ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲒᲠᲫᲝᲚᲝ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲘ.

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ.

ᲓᲦᲔᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ

1979 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲡ.

გეგმა-კანონი, ვალდებულებაც-კანონი!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა ძირითადად შეაჯამა გასული წლის სამეურნეო შედეგები, ხოლო რესპუბლიკის სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც დღეს იწყებს მუშაობას, მიიღებს ხუთწლედის მეოთხე წლის სოციალისტურ ვალდებულებებს. მანამდე კი გადიდებული ვალდებულებები აკისრეს ქ. თბილისის, აფხაზეთის, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საწარმოებმა და შრომითმა კოლექტივებმა, აბაშის რაიონმა, გორისა და ოჩამჩირის რაიონების მექანიზატორებმა, სიღნაღის რაიონის ბოდბისხევისა და ლენინგორის რაიონის უკანამხრის კოლმეურნეობებმა და ბევრმა სხვა საზოგადოებრივმა მეურნეობამ. სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობა ის არის, რომ სამეურნეო მუშაობა ყველგან ავიყვანოთ იმ მოთხოვნების დონეზე, რომლებსაც პარტია გვიყენებს.

მეათე ხუთწლედის მეოთხე წელს მოვიპოვოთ ახალი დიდი წარმატებანი — ახე ფიქრობს და მოქმედებს დღეს მილიონობით საბჭოთა ადამიანი. ბევრმა საწარმომ, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ მიზნად დაისახა ხუთწლედი ოთხ წელიწადში შეასრულოს. ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეურნეობები, რომლებმაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი მოქმედების საბრძოლო პროგრამად მიიღეს, ცდილობენ ახალი წლის პირველი დღეებიდანვე იმუშაონ დამკვრელურად.

სწორედ ამ დღეებში გამოქვეყნდა პრესაში სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „1979 წელს საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოთა მომზადებისა და ჩატარების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებით პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებთან ერთად ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, მეურნეობათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან უზრუნველყონ 1979 წელს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მაღალ აგროტექნიკურ დონეზე საგაზაფხულო სამუშაოთა ჩატარება. სოფლებიდან ყოველდღე მოდის ცნობები, რომ ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობა საგაზაფხულო სამუშაოთა აგროვადებში ჩატარებისათვის კარგად ემზადება.

გორისა და ოჩამჩირის რაიონების მექანიზატორებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს, რომელთა შესასრულებლად ახალი წლის პირველივე დღეებიდან რიტმულად დაიწყეს მუშაობა და წარმატებებსაც ᲐᲬᲔᲕᲔᲑᲡ. გორელ და ოჩამჩირელ მექანიზატორთა თაოსნობა მთელ რესპუბლიკაში გავრცელდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მექანიზატორები საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყებას მომზადებული შეხვდებიან. მექანიზატორთა სოციალისტურ შეჯიბრებას სათავეში უნდა ჩაუდგნენ პირველადი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები, ზამთარში უნდა მოვამზადოთ მექანიზატორთა ახალი კადრები, რომ გაზაფხულზე და ზაფხულში ორ ცვლად მუშაობის საქმე მაღალ დონეზე მოეწყოს. ამასთან თითოეული მექანიზატორი რამდენიმე პროფესიას უნდა დაეუფლოს.

„იქნება საკვები — იქნება ხორციც და რძეც!“ — ამ სათაურით დაიბეჭდა გაზეთებში სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სოციალისტური ვალდებულებანი. „მეათე ხუთწლედის მეოთხე წელს ბოდბისხეველ მეცხოველეთა წინაშე რთული ამოცანები დგას, — ნათქვამია ვალდებულებებში, — ჩვენ უნდა ვაწარმოოთ 4.120 ცენტნერი ხორცი, 10 ათასი ცენტნერი რძე, 255 ცენტნერი მატყლი, სახელმწიფოს უნდა მივყიდოთ ეს პროდუქტები შესაბამისად 2.800, 9,000 და 260 ცენტნერი, მივიღოთ და შევინარჩუნოთ 4 ათასი გოჭი და 6 ათასი ბატკანი“. ეს დიდი ვალდებულება რომ შესრულდეს, საჭიროა დამზადდეს დიდძალი საკვები. კოლმეურნეობამ გადაწყვიტა წელს საკუთარი ძალებით დაამზადოს 1.000 ტონა თივა, 3.000 ტონა სენაჟი, 3.500 ტონა ნამჯა, 7.000 ტონა სილოსი, 500 ტონა ძირნაფესვები, 150 ტონა ბალახის ფშვნილი, გამოიყოფენ საფურაუე მარცვალს, საკვებად გამოიყენებენ ყველა-კარაქისა და ღვინის ქარხნების ნარჩენებს. თითოეულ მსხვილფეხა პირუტყვზე 32 ცენტნერ საკვებ ერთეულს მოიმარაგებენ. ეს კი წელინახევრის მარაგს ნიშნავს.

„ᲑᲐᲒᲣᲜᲬᲠᲝᲠᲓᲔᲗ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲕᲔᲑᲘᲡ!“ — ამ დევიზით ხელმძღვანელობდნენ ლენინგორის რაიონის სოფელ უკანამხრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მეცხვარეები, როდესაც ახალ სოციალისტურ ვალდებულებებს იღებდნენ. უკანამხრელებმა გადაწყვიტეს პირუტყვის სანიმუშო მოვლა-პატრონობით წლეულს ცხვრისა და თხის სულადობა 17 ათას სულამდე გაზარდონ. მათ შორის ნერბისა — 10.200 სულამდე, ყოველ 100 ნერბზე ნაცვლად 85-ისა საშუალოდ 97 ბატკანი მიიღონ. ცალკეული ბრიგადები კი 100 ნერბზე 100 ბატკნის მიღებას კისრულობენ.

ბოდბისხეველ და უკანამხრელ კოლმეურნეთა სოციალისტურ ვალდებულებებს ახლა უკვე კანონის ძალა მიენიჭა. რესპუბლიკაში მათს მაგალითს ბევრმა საზოგადოებრივმა მეურნეობამ უნდა მიბაძოს. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, რაისაბჭოს აღმასკომებმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოებმა ყოველდღიური კონტროლი უნდა დაიწესონ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობისადმი.

რესპუბლიკაში ბევრია იმის დადებითი მაგალითი, როცა ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლას წლებით ნაცადი მეთოდით — სოციალისტური შეჯიბრების ახლებურად მოწყობითა და უნარიანი ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს აღწევენ არა მარტო ცალკეული საზოგადოებრივი მეურნეობები, არამედ მთელი რაიონი. ამაზე ნათლად მეტყველებს პარტიის გურჯაანის, მახარაძის, აბაშის, ხობის, გორის და სხვა რაიონული კომიტეტების საერთო-სახალხო საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა. მათ ნაკისრ ვალდებულებებს კანონის ძალა მიანიჭეს, სოციალისტური შეჯიბრება ᲐᲮᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ მოაწყვეს და დიდ გამარჯვებასაც მიაღწიეს, წარმატებით შეასრულეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შარშანდელი გეგმებიცა და ვალდებულებებიც. გურჯაანელებმა პირველად გადალახეს ასიათასიანი მიჯნა, სახელმწიფოს მიჰყიდეს 114 ათას ტონაზე მეტი ყურძენი, მახარაძელებმაც ახალი მიჯნები დალაშქრეს — სახელმწიფოს მიჰყიდეს 75 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ხობელებმა გეგმად ქცეული ვალდებულებები დიდი გადამეტებით შეასრულეს.

მაგრამ დასამალი როდია, რომ ზოგიერთი რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები წლის დასაწყისში დიდის ამბით კისრულობენ ხოლმე გადიდებულ ვალდებულებებს, შემდეგ კი ივიწყებენ, რომ მოცემულ პირობას შესრულება უნდა. ქარელისა და სამტრედიის რაიონების ბევრმა საზოგადოებრივმა მეურნეობამ შარშან წლის დამდეგს ვალდებულებები იკისრეს, მაგრამ მისი შესრულებისათვის არ იზრუნეს. ამ რაიონების პარტიულმა და სამეურნეო ორგანოებმა ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობისადმი კონტროლი შეასუსტეს. სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობისათვის სათანადოდ ვერ იზრუნეს, რამაც სამეურნეო საქმიანობაში ჩამორჩენა გამოიწვია.

შარშან თელავის რაიონის წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი — ნ. იანვარაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი — ს. მეგუთნიშვილი) წლის დასაწყისში გაბედული ვალდებულებები იკისრა, მაგრამ სიტყვა საქმეს დაშორდა. მეურნეობის მაჩვენებლები რაიონის საშუალო მოსავლიანობაზე ძალზე მცირეა. ასე არ მოხდებოდა, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაცია შეჯიბრებას ფორმალურად არ მისდგომოდა. მუშაობაში ვერ დანერგეს მეზობელი მოწინავე მეურნეობების გამოცდილება, მეცნიერების მიღწევები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებაში მკვეთრად არის ნათქვამი, რომ „საჭიროა გაძლიერდეს გეგმების მაორგანიზებელი და მამობილიზებელი როლი, განხორციელდეს სისტემატური კონტროლი იმისადმი, თუ როგორ ასრულებს თითოეული საწარმო, მშენებლობა, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა დაწესებულ დავალებებს“. დადგენილების ეს ᲫᲔᲛᲨᲐᲠᲘᲢᲐᲓ ბევრის მთქმელი სიტყვები ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელს, ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს კარგად უნდა ახსოვდეს და ყოველდღიურ საქმიანობაში შემოქმედებითად იყენებდეს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულება.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ



1978 წლის დამლევს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მწყობრში ჩადგა აგლომერატის წარმოების კომპლექსი. სიახლე დიდ დახმარებას გაუწევს მეტალურგებს წარმოების ეფექტიანობის მკვეთრად გადიდების საქმეში. დაბრიკეტებული მანგანუმის მადანი ხელს შეუწყობს სადნობი ღუმელების შეუფერხებელ მუშაობას, შეამცირებს მათ ცხელ მოცდენებს, საშუალებას მისცემს მდნობელებს დაზოგონ დიდძალი ელექტროენერგია და, რაც არანაკლებ მთავარია, საგრძნობლად გაიუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს.

სურათზე: ზესტაფონის კომპლექსის მოწინავე მშენებლები (მარცხნიდან) გ. სამხარაძე, ე. ხომასურიძე, ვ. დვალიშვილი, ვ. აბესაძე, ი. მაჭარაშვილი, ტ. ცხოვრებაძე, დ. უზნაძე და რ. ხაჭაპურიძე.

Ა. ᲛᲐᲭᲐᲛᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

17 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ თბილისში, შრომის სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნებია საქართველოს სსრ საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა; რომელიც გახსნა ამ კომისიის თავმჯდომარემ გ. ნ. კურტანიძემ.

ინფორმაცია საარჩევნო უბნების შექმნისა და საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის შესახებ გააკეთა რესპუბლიკური კომისიის მდივანმა ს. ე. ხაბეიშვილმა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების სამზადისი რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების კანონის შესაბამისად მიმდინარეობს. დაწესებულ ვადაში შეიქმნა საოლქო საარჩევნო კომისიები, აგრეთვე საარჩევნო უბნები და საუბნო საარჩევნო კომისიები. საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში არჩეულია 1.095 კაცი. რესპუბლიკაში შექმნილია 3.176 საარჩევნო უბანი, რაც 46-ით მეტია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნებთან შედარებით. საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში, რომლებიც უკვე შეუდგნენ მუშაობას, 25.655 კაცი შედის.

სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სსრ საარჩევნო კომისიის წევრის ნ. ვ. გურგენიძის ინფორმაცია ქალაქ თბილისში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების სამზადისის თაობაზე ინფორმაცია გააკეთეს აგრეთვე № 182 რუსთავის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თ. ი. ხაზარაძემ, № 192 ჭიათურის საარჩევნო ოლქის თავმჯდომარემ გ. ა. ტყემალაძემ, № 167 ამბროლაურის საარჩევნო ოლქის თავმჯდომარემ ა. ვ. შარაბიძემ, № 177 ქობულეთის საარჩევნო ოლქის თავმჯდომარემ ბ. ა. ჯიქიამ.

სხდომაზე გამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების რესპუბლიკური კომისიის წევრები მ. დ. დავითაშვილი, ა. ს. ობოლევა და ნ. რ. ბარამიძე.

ყველა გამოსულმა ამხანაგმა ერთხმად აღნიშნა, რომ მშრომელები დეპუტატობის პირველ კანდიდატებად ერთსულოვნად აიაზელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, პოლიტბიუროს წევრებსა და წევრობის კანდიდატებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებს.

საქართველოს სსრ საარჩევნო კომისიის მდივანმა ს. ე. ხაბეიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭირო კვლავაც უზრუნველყოთ სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების, საბჭოთა საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნების განუხრელი დაცვა. იგი შეეხო საარჩევნო კამპანიის მორიგ ამოცანებს, ყურადღება მიაპყრო არჩევნებთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების დროული განხორციელების საჭიროებას. საგანგებოდ აღინიშნა, რომ საჭიროა უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ მთელი პროპაგანდისტული საქმიანობა ცხოვრებას.

სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ კომისიის წევრები მიავლინონ საარჩევნო — ოლქებში, რათა შეამოწმონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მათი მზადების მდგომარეობა და პრაქტიკულად დაეხმარონ ამ საქმეში. (საქინფორმი).

სოფია: მეგობრული გამოცილება

სოფია, 17 იანვარი. (საკადესი). დღეს სოფიიდან სამშობლოში გამოემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, რომლებიც ხანმოკლე მეგობრულ ვიზიტად იყვნენ აქ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ტ. ჟივკოვის მოწვევით.

აეროდრომზე ძვირფასი სტუმრები გულითადად, ძმურად გამოაცილეს ამხანაგმა ტ. ჟივკოვმა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა: ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა გ. ფილიპოვმა, დ. ჯუროვმა, ი. მიხაილოვმა, ო. დოინოვმა, პ. მლადენოვმა, ს. ტოდოროვმა, ტ. ცოლოვმა, ც. დრაგოიჩევამ, ბულგარეთის მიწათმოქმედთა სახალხო კავშირის მდივანმა პ. ტანჩევმა, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა კ. ტრიჩკოვმა, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრებმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ნ. ბაზოვსკი და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ი. ლ. ბრეჟნევი, რომელიც დასასვენებლად არის ბულგარეთში.

სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, შესრულდა საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

საბჭოთა სტუმრების გამოსაცილებლად აეროპორტში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის ათასობით მცხოვრები შეიკრიბა. მათ ხელში ეჭირათ ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა პორტრეტები, ტრანსპარანტები საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ურღვევი ძმური მეგობრობის სადიდებლად. სოფიელები მჭუხარეტაშით მიესალმებოდნენ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, გაისმოდა შეძახილები: „ბკკ — სკკპ!“, „სამარადისო მეგობრობა!“.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად გამომგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს მოადგილე მ. ე. მოგილევეცი.

□

იმავე დღეს ლ. ი. ბრეჟნევი და კ. უ. ჩერნენკო სამშობლოში დაბრუნდნენ.

სურათზე: სოფიიდან ლ. ი. ბრეჟნევის გამომგზავრება.

საკადესის ფოტოქრონიკა.

ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚ, ᲫᲛᲣᲠ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

სოფია, 16 იანვარი. (საკადესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა დღეს ამხანაგური საღილი გაუმართა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ტ. ჟივკოვს. ტ. ჟივკოვთან ერთად საღილად იყვნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრება გ. ფილიპოვი, დ. ჯუროვი, ი. მიხაილოვი, ო. დოინოვი, პ. მლადენოვი, ს. ტოდოროვი, ტ. ცოლოვი, ც. დრაგოიჩევა, ბულგარეთის მიწათმოქმედთა სახალხო კავშირის მდივანი პ. ტანჩევი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დ. სტანიშევი, გ. ატანასოვი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ლ. ჟივკოვა, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კაბინეტის უფროსი მ. ბალევი.

საბჭოთა კავშირის მხრივ საღილად იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ნ. ბაზოვსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამმართველოს მოადგილე მ. ე. მოგილევეცი.

საღილზე, რომელმაც გულთბილ, ძმურ ვითარებაში ჩაიარა, ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ტ. ჟივკოვმა სიტყვები წარმოთქვეს.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ძვირფასო ამხანაგო ჟივკოვ!
პატივცემულო ამხანაგებო!

აი დასრულდა ჩვენი ვიზიტი ბულგარეთში. შინ ვბრუნდები ახალი შთაბეჭდილებებით თქვენს ქვეყანაზე, მის თვალწარმტაც ბუნებაზე, მის ძველთაძველ და მარად ახალგაზრდა ქალაქებსა და სოფლებზე, მის საამაყო ძეგლებზე, ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების სამარადისო ძმობას რომ ადიდებენ. არ დამავიწყდება ეს დღეები, თქვენთან ერთად რომ გავატარე. დიდ მადლობას მოგახსენებთ, მეგობრებო.

აქ, ბულგარეთში, ახალი ძალით შევიგრძენი, რაოდენ დიდი მეგობრობა და სიყვარული აკავშირებთ ჩვენს ხალხებს.

ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ არა მარტო და არა იმდენად ისტორიას. ჩვენი მეგობრობა უმთავრესად არის საბჭოთა და ბულგარელი კომუნისტების, ჩვენი ქვეყნების მილიონობით მშრომელს ერთთბლივი მუშაობის ნაყოფი. და სავსებით კანონზომიერია, რომ საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ურთიერთობა დინამიკურად ვითარდება და წლითიწლობით თვისებრივ ნიშნებს იძენს.

მოგეხსენებათ, შვებულება შვებულებაა. მაგრამ, ბუნებრივია, რომ მაინც მოვიცალეთ ჩვენს საერთო საქმეებზე საუბრისათვის. ჩემი და ამხანაგ ჟივკოვის საერთო აზრით, ეს ჩვენი შეხვედრები და საუბრები პროდუქტიული იყო, საკმარისია ითქვას, რომ შეთანხმდა დოკუმენტებია ჩვენი თანამშრომლობის მთელი რიგი აქტუალური პრობლემების გადაჭრა, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკაში.

ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ ხუთწლიან და გრძელვადიან დაგეგმვაში ჩვენ ქვაკუთხედად უნდა დავაყენოთ წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერაცია. ამის გამოცდილება კი გვაქვს.

ვილაპარაკეთ საერთაშორისო ვითარებაზეც. დასკვნებსა და შეფასებებს, რომლებიც პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მოსკოვის თათბირზე გამოვიტანეთ, მთლიანად აფასებენ ბოლოდროინდელი ამბები. საერთაშორისო ვითარების ქარტეხილებში გამოსავლივით უმთავრესი ნიშანი — მშვიდობის, პროგრესის, ეროვნული თავისუფ-

(დასასრული მე-2 გვ.).

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ

ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ

ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ რაიონის სოფელ ბარალეთის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავი **რუზანა გურგენის ასული ხეჩოიანი** მის მშობლიურ სოფელში გამართულმა წინასაარჩევნო კრებამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა № 168 ახალქალაქის საარჩევნო ოლქში.

რაჭის სამთო-ქიმიურ ქარხანაში გამართული წინასაარჩევნო კრების მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება № 167 ამბროლაურის საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თეიმურაზ ილიას ძე მოსაშვილი.**

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **ალექსი ნიკოლოზის ძე ინაური** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 191 ცხინვალის საარჩევნო ოლქში დაასახელეს ცხინვალის ქარხანა ელექტროვიბრომანქანის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა.

წინასაარჩევნო კრება გაიმართა ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანაში. მისმა მონაწილეებმა ერთსულოვნად დაადგინეს: № 494 ბათუმის ფრუნზეს საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ საწარმოს მოწინავე მუშა, ელექტროშემდუღებელი **ლერი მიხეილის ძე ფილია.**

(დასასრული მე-2 გვ.)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ, 17 იანვარი. (საქინფორმი). გაიმართა საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პლენუმი, რომელშიც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით პლენუმმა პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. **შ. მ. ეცადაშვილი.**

პლენუმმა პირველ მდივნად აირჩია ამხ. **ბ. ი. შინკიაშვილი** და გაათავისუფლა იგი პარტიის რაიკომის მერრე მდივნის მოვალეობისაგან.

მერრე მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. **მ. ს. სამადაშვილი** და გაათავისუფლა იგი პარტიის რაიკომის მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის მდივნად არჩეულია ამხ. **ზ. გ. მანიკაშვილი.**

პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ე. ა. შევარდნაძემ.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ - პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. **ს. ე. ხაბეიშვილი.**

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ პარტიის ქალაქ თბილისის პირველი მაისის რაიკომის პლენუმი, რომელშიც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით პლენუმმა პარტიის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. **ბ. დ. მახ

გულთბილ, ძმურ ვითარებაში

(დასასრული)

ლების ძალების იმედიანი წინსვლა.

როგორც კომუნისტებს, ჩვენ ყოველთვის მიგვაჩნდა, რომ სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. ეს ითქვა, კერძოდ, აქ, სოფიაში, სამოცდაათამდე ქვეყნის კომუნისტთა ამასწინანდელ თეორიულ კონფერენციაზე. ჩვენ დიდმნიშვნელოვნად მიგვაჩნია ისიც, რომ სოფიის შეხვედრამ ცხადყო კომპარტიების გაძლიერებული ლტოლვა ცოცხალი ურთიერთობის, ორმხრივი სოლიდარობისადმი. ეს რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტად აამაღლებს კომუნისტური მოძრაობის როლს მსოფლიოს განვითარებაში.

დასასრულ, მინდა გისურვოთ, ძვირფასო ამხანაგებო, ეუსურვო მთელ ბულგარელ ხალხს ახალი სახელოვანი წარმატებანი. ჯანმრთელად და ბედნიერად გვყოლოდეთ, მეგობრებო, უშრეტი ენერგიით გგბრძოლოთ ჩვენი საერთო კომუნისტური საქმისათვის!

ამხანაგ ტ. ქიკოვის სიტყვა

პატივცემულო ამხანაგო ბრეჟნევ!

ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო!

გულითად მადლობას მოგახსენებთ ამხანაგური სადილისათვის და იმ შესანიშნავი სიტყვებისათვის, რომლებიც თქვენ ბრძანეთ აქ. ამხანაგო ბრეჟნევ, ჩვენს ქვეყანასა და ჩვენს ხალხზე, მადლობას მოგახსენებთ სიყვარულისა და მეგობრობის დიდი გრძნობებისათვის, რომლებიც ჩვენს პარტიებსა და ხალხებს აკავშირებს.

ბულგარეთში თქვენი ვიზიტი, რომელისთვისაც ერთხელ კიდევ ძმურ მადლობას გიძღვნით, საყოველთაო-სახალხო სიყვარულისა და მადლიერების გრძნობის უნებლიე ბანიფესტაციის საბაბი გახდა! და ამას მარტო ის მრავალრიცხოვანი მისალმებანი რიდი გამოხატავს, რომელიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სახელმწიფო საბჭომ, გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებმა, სსრ კავშირის საელჩომ და პირადად თქვენ მიიღეთ. თქვენი ვიზიტი განხილვის მთავარი თემაა ქარხნებსა და დაწესებულებებში, მეგობრული საუბრების დროს, ყოველი ბულგარელის ოჯახში. ახალი წლის დამდეგს თქვენმა სტუმრობამ კიდევ უფრო გაახალისა ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი ცხოვრება. ახალი ძალები შეძატა მთელ ხალხს. ხალხური ანდაზა ჭეშმარიტებას ღაღადებს: „მეგობრობა და ღვინო ძველი ფასობს.

როცა დღეს ერთ ჩემს ამხანაგს თქვენზე ვუთხარი, მიბრძანდებიო, გაოცდა: ნუთუ ამხანაგი ბრეჟნევი ჩვენთან ასე ცოტა ხანს დარჩებაო?

ჩემთვისაც შეუმჩნეველად გავიდა ეს დღეები. ჩვენც, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს, გვინდა გაცილებით მეტხანს დარჩეთ ბულგარეთში ჩვენს სტუმრად. და მაინც ხვალიანად თქვენ ხუთი დღე დაუთმეთ ბულგარეთს, და თუ გავითვალისწინებთ, რაოდენ მოუცლელი ხართ, რამდენი რაიონია საბჭოთა კავშირში, სადაც ბედნიერად ჩათვლიდნენ თავს თქვენი თუნდაც ერთი დღის სტუმრობით, ბოძმე სოციალისტურ ქვეყნებს, რომლებსაც აგრეთვე სურთ დიდხანს გიმასპინძლოთ თქვენ, თქვენს საერთაშორისო მოვალეობებს იმ უზარმაზარ მუშაობასთან დაკავშირებით, რომელსაც დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობის მიზნებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკითხიდღეიდან ეწევით, — ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს რეალურად შევაფასოთ ვითარება და ჩავთვალოთ, რომ ეს ხუთი დღე დიდად სასიხარულოა ჩვენთვის, ბულგარელებისათვის!

ბულგარეთში თქვენმა ვიზიტმა ბევრი კომენტარი გამოიწვია დასავლეთში, და ეს სავსებით ბუნებრივია — სსრ კავშირის პირველი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელის ყოველი ვიზიტი ამა თუ იმ ქვეყანაში ფართო გამოხმაურებას იწვევს. მათ შორის არის ხოლმე ისეთი გამოხმაურებანიც, რომლებსაც მარტოოდენ ინტერესის გამოვლინებას ვერ ვუწოდებთ. ესეც ბუნებრივია— ყველა თავისი არშინით ზომავს. მაგრამ საქმე ის არის, რომ არაფერია იმაზე უფრო ბუნებრივი, ვიდრე ისეთი ქვეყნების პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელთა ურთიერთვიზიტები, როგორიც საბჭოთა კავშირი და ბულგარეთია. ასეთ შემთხვევებში საკითხთა არაფერია: ვიზიტების, შეხვედრებისა და მოლაპარაკების დროს — იქნება ეს თქვენთან მოსკოვში თუ ჩვენთან სოფიაში — საქმე ეხება ხოლმე ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის, მთელი პროგრესული ძალების ერთიანობის განმტკიცებას, საქმე ეხება უზენაეს სიკეთეს — მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

ასე იყო ამჯერადაც. თქვენი ვიზიტი ბულგარეთში, „მოლაპარაკება, რომელიც აქ გქონდათ, განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო. თქვენ ეს-ეს არის ხაზგასმით აღნიშნეთ და ნება მიბოძეთ მეც გავიმეორო თქვენი სიტყვები: „ღრმად კანონზომიერია, რომ საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ურთიერთობა დინამიკურად ვითარდება და წლითიწლობით თვისებრივ ნიშნებს იძენს". სწორედ ამ დინამიკურ განვითარებაზე, ამ ახალ ნიშნებზე ვილაპარაკეთ ჩვენ. და ეჭვი არ არის, რომ როგორც ყოველთვის, თქვენთან შეხვედრისა და მოლაპარაკების შემდეგ, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობასა და თანამშრომლობას ახალი კონკრეტული იმპულსი მიენიჭება.

დღეგრძელობას გისურვებთ, ამხანაგო ბრეჟნევ! მადლობას მოგახსენებთ ყველაფრისათვის, რასაც აკეთებთ თქვენ სოციალისტური ბულგარეთისა და ბულგარელი ხალხისათვის! გთხოვთ უმცროსი ერთგული ძმის — ბულგარელი ხალხის სახელით გულთბილად, ძმურად მიღოცოთ და ახალი წარმატებანი უსურვოთ დიდ საბჭოთა ხალხს! გთხოვთ საბრძოლო სალამი გადასცეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ლენინურ ცენტრალურ კომიტეტსა და მის ნაცად და ბრძენ შტაბს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ჩვენი, ბულგარელი კომუნისტების, დიმიტრი ბლაგოევისა და გიორგი დიმიტროვის შვილებისა და შვილიშვილების სახელით!

დღეგრძელობას ვუსურვებ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს, ამხანაგ ბრეჟნევის თანმხლებ ყველა საბჭოთა სტუმარს!

გაუმარჯოს ბულგარეთ-საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ურღვევ მეგობრობას!

□

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ტ. ქიკოვის სიტყვები დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

ხალხის კანდიდატები

(დასასრული)

გრძელდება სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატობის დასახელება.

სოხუმის საოლკომოტივო დეპოში გაიართულმა წინასაარჩევნო კრებამ ერთსულოვნად დაადგინა № 185 სოხუმის, საქალაქო საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი **ლევან გრიგოლის ძე ვარდოსანიძე.**

მარნეულის რაიონის სადასლოს მეთამბაქოეობის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა **გიულიაზ მახმუდ ყზი ხალილოვა** № 171 ბოლნისის საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბოლნისის მეგენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე.

წინასაარჩევნო კრება გაიმართა ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყეთის კოლმეურნეობაში, რომელმაც გადაწყვიტა № 501 ჩაქვის საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელონ ამ რაიონის სოფელ ალამბარის კოლმეურნეობის ახალგაზრდა მეჩაიე **მზეკინარ დურსუნის ასული ანანიძე.**

(საქინფორმი).

დიდი ნდობა

წინასაარჩევნო საოლქო თათბირზე

ქარგი გუნება-განწყობილებით შეიკრიბნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ხუთლის საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები საოლქო წინასაარჩევნო თათბირზე.

თათბირის განხილვის, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ლ. თამაზაშვილმა ილაპარაკა მშრომელთა კოლექტივების დამკვრელურ საქმეებზე, რითაც ისინი აღნიშნავენ წინასაარჩევნო კამპანიის თითოეულ დღეს.

სიტყვა ეძლევა სოფელ ოქრუაშვილების საშუალო სკოლის დირექტორს ვ. მ. თავართქილაძეს. მან თქვა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად არიან დასახელებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ი. ვ. ანდროპოვი და სოფელ სხალთის კოლმეურნეობის მოწინავე მეთამბაქოე თ. ი. მახარაძე.

დასახელებულ კანდიდატურებს მხარი დაუჭირეს ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების ხუთლის ფილიალის მკერავმა მ. ლ. ჯაყელმა, სოფელ ფაჩხის რვაწლიანი სკოლის უფროსმა პიონერხელმძღვანელმა თ. ა. შახარაძემ, სოფელ დიოკნისის საბავშვო ბაღის გამგემ თ. შ. ბოლქვაძემ.

თათბირმა ერთხმად დაუჭირა მხარი მშრომელთა კოლექტივების გადაწყვეტილებებს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ხუთლის № 500 საარჩევნო ოლქში დასახელონ **იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი და თალაკო იოსების ასული მახარაძე** და სთხოვონ მათ კენჭი ეყარონ ამ ოლქში.

თათბირზე აირჩიეს დეპუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირნი, მიიღეს მიმართვა ყველა ამომრჩევლისადმი.

(საქინფორმი).

ხუთწლედის მეოთხე წელიწადი

სოციალისტური შეჯიბრების ნაცადი გზით!

გეგმა—კანონი, ვალდებულებაც—კანონი!

1979 წლის სოციალისტური ვალდებულებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი წლის მიჯნები

ქუთაისი

ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადწყვეტილებებით და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში მოცემული დებულებებითა და დასკვნებით, ქალაქის მშრომელები წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების ამოცანათა გადასაჭრელად, თავიანთ შესაძლებლობებს წარმართავენ დისციპლინის განმტკიცების თაობაზე რუსთაველთა პატრიოტული თაოსნობის და ჩამორჩენილთა გარეშე მუშაობის შესახებ ქალაქის თვალსაჩინო ინიციატივის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების გზით, ამასთან მიზნად ისახავენ რა ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა უცილობელ შესრულებას ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

მრეწველობაში მოქმედ და საექსპლოატაციოდ ახლად გადაცემულ სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენების, ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაციის, წარმოების მართვის ორგანიზაციის სრულყოფის და სოციალისტური შეჯიბრების მოწინავე ფორმების ფართო გავრცელების მიზნით განვახორციელებთ ღონისძიებათა კომპლექსს, რომლითაც უზრუნველყოფთ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

წლიურ გეგმას შევასრულებთ 28 დეკემბრისათვის, გამოვუშვებთ 7,6 მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქციას, მათ შორის ათობით ავტომობილს, 20 ტრაქტორს, 30 ათას მამაკაცის პერანგს, 120 ტონა შაბიამანს და სხვ.

განუხრელად განვავითარებთ ქვეყნის მოწინავე სამრეწველო რეგიონების გამოცდილების საფუძველზე ხარისხის მართვის საქალაქო სისტემას, სტანდარტების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობით ვიბრძოლებთ ხარისხის მართვის რაიონული სისტემების ჩამოყალიბებისათვის. 27 დასახელების პროდუქციას გამოვუშვებთ ხარისხის სახელმწიფო ნიშნით.

ტრანსპორტის დარგში რკინიგზის ვაგონების დატვირთვა-განტვირთვის წლიურ **გეგმას შევასრულებთ 25 დეკემბრისათვის,** გეგმის გადამეტებით დავტვირთავთ 100 ათას ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთს, შევაკეთებთ 16 ლოკომოტივს.

ავტოტრანსპორტით ყველა სახეობის ტვირთზიდვის გეგმას შევასრულებთ 29 დეკემბრისათვის, გეგმის გადაჭარბებით გადავზიდავთ 15 ათას ტონა ტვირთს და გადავიყვანთ 100 ათას მგზავრს.

ორგანიზაციებსა და მოსახლეობას დამატებით დაეუდგამთ 500 ტელეფონს.

მეშენებლობაში 1978 წელთან შედარებით ქალაქის სამშენებლო ორგანიზაციები 2 მილიონ მანეთით მეტ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს შეასრულებენ. საექსპლოატაციოდ გადაეცემა 2 000 კვადრატული მეტრი ზეგეგმითი საცხოვრებელი სახლები, საცხოვრებელი და სამოქალაქო დანიშნულების ობიექტები რიტმულად ჩაბარდება, მთავარი ყურადღება დაეთმობა კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მშენებლობის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას. მშენებლობის ტექნოლოგიის სრულყოფის შედეგად „კარგი" და „ფრიადი" შეფასებით ჩავაბარებთ ობიექტების 92 პროცენტს.

საქალაქო მეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლისა და საწარმოებში მოწინავე მეთოდების დანერგვის მეოხებით **ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოებს 1 დეკემბრისათვის დავამთავრებთ.** შრომის ნაყოფიერებას გავზრდით 0,5 პროცენტით, დამატებით მივიღებთ 60 ათას მანეთ მოგებას.

კაპიტალურად შეკეთდება 31 საცხოვრებელი სახლი, მიმდინარე რემონტი გაუკეთდება 170 საცხოვრებელ სახლს, დაარგვება 5000 ძირი ხე და ბუჩქი. შეკეთდება 4 სპორტული მოედანი, მოასფალტდება 5 500 კვადრატული მეტრი საცხოვრებელ სახლებთან მიმავალი გზები და 4 სპორტული მოედანი, 22 სახლში კაპიტალურად შეკეთდება გათბობის სისტემა, გაუმჯობესდება სარემონტო სამუშაოების ხარისხი.

ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში საქონელბრუნვის წლიურ გეგმას შევასრულებთ 30 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით რეალიზებული იქნება 700 ათასი მანეთის პროდუქცია.

საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის გეგმას შევასრულებთ 30 დეკემბრისათვის და გეგმას გადავაჭარბებთ 60 ათასი მანეთით. საექსპლოატაციოდ გადაეცემთ 2 ახალ ყავაჭრო ობიექტს. საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის წლიურ გეგმას შევასრულებთ 29 დეკემბრისათვის, წლის ბოლომდე მოსახლეობას გეგმის გადამეტებით გავუწევთ 60 ათასი მანეთის მომსახურება. დავნერგავთ მომსახურების 6 ახალ სახეობას.

სოფლის მეურნეობის დარგში კიდევ უფრო განვამტკიცებთ და გავაფართოებთ სოფელთან კავშირს, საშეფო დახმარებას გაუწევთ ახლომდებარე 60-მდე კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას. ყოველმხრივ მხარს დავუჭერთ ქალაქის მოწინავე საწარმოთა თაოსნობას სოფლის მეურნეობისათვის საჭირო პროდუქციის ვადამდე მიწოდების საქმეში. ვიბრძოლებთ ქალაქის მეცხოველეობის კომპლექსის პირველი რიგის სამუშაოების დასამთავრებლად, გავაფართოებთ სამრეწველო საწარმოებსა და ორგანიზაციებში დამხმარე მეურნეობებს, უზრუნველყოფთ 5.000 ცენტნერი ხორცის ჩაბარებას.

სოციალისტური ვალდებულებები მიღებულია ქ. ქუთაისის რაიონების კარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.

სიტყვას საქმით განამტკიცებენ

აბაშა

აბაშის **რაიონის მშრომელებმა, რომლებმაც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ხუთჯერ ზედიზედ მოიპოვეს საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა, ახალი ძალით გააჩაღეს შეჯიბრება სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის და ხუთწლედის მეოთხე წლისათვის კისრულობენ შემდეგ ვალდებულებებს:**

მეცენარეობა: სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონის ამაღლებით, ინტენსიფიკაციის, წარმოების კულტურის შემდგომი ამაღლებით, მშრომელთა მორალური და მატერიალური სტიმულების გაუმჯობესებით, მატერიალური და შრომითი რესურსების რეზერვების გონივრულად გამოყენებით მიაღწევენ იმას, რომ რაიონის სოფლის მეურნეობა უფრო ინტენსიურად განვითარდეს.

საზოგადოებრივ მეურნეობებში ჰექტარობრივი მოსავლიანობა გადიდდება: **სიმინდისა — 45 ცენტნერამდე, ბოსტნეულისა — 140 ცენტნერამდე, სოიისა — 10 ცენტნერამდე.**

წელს ნაცვლად 18.000 ტონისა, აწარმოებენ 22.500 ტონა სიმინდის მარცვალს, ანუ 1978 წელთან შედარებით 4.000 ტონით მეტს, ბოსტნეულს — 7.500 ტონას, ანუ წინა წელთან შედარებით 2.500 ტონით მეტს. ჩაის ფოთლის წარმოება გაზრდება 1.200 ტონამდე, ხოლო აბრეშუმის პარკისა — 42 ტონამდე.

სახელმწიფოს მიეყიდება: სიმინდი საგეგმოზე 1.000 ტონით მეტი; ბოსტნეული ნაცვლად 5.000 ტონისა 7.000 ტონა.

მეცხოველეობა: რაიონის მეცხოველეთა ვალდებულებაა 1979 წელს მიაღწიონ პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მკვეთრ მატებას; ამასთან საგრძნობლად შეამცირებენ პროდუქტების თვითღირებულებას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საკარმიდამო მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას.

1979 წელს ნაცვლად 1.800 კილოგრამისა რაიონში საშუალო წველადობა ერთ ძროხაზე 2.100 კილოგრამამდე მოიმატებს, 100 ძროხაზე მიიღებენ 82 ხბოს, ანუ შარშანდელთან შედარებით 13 სულით მეტს.

სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პირუტყვის საშუალო წონა 1978 წელთან შედარებით გაიზრდება 20 კილოგრამით და მიაღწევს 270 კილოგრამს. აწარმოებენ 1.500 ტონა ხორცს, გეგმასთან შედარებით 250 ტონით მეტს; რძის წარმოება მიაღწევს 3.500 ტონას, გეგმაზე 200 ტონით მეტს.

სახელმწიფოს მიეყიდება: 2.100 ტონა ხორცი, ანუ გეგმასთან შედარებით 350 ტონით მეტი; რძის მიყიდვის გეგმა შესრულდება 110 პროცენტით და მიაღწევს 2.900 ტონას.

***** განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმეს. **აწარმოებენ 30,000 ტონა სილოსს, წინა წელთან შედარებით 5.000 ტონით მეტს, — 15.000 ტონა სენაჟს, — 3.000 ტონა თივას.**

რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები ამით მეათე ხუთწლედის გეგმებს ოთხ წელიწადში შეასრულებენ.

მრეწველობა და ტრანსპორტი: მრეწველობაში 1979 წლის გეგმა 25 დეკემბრისათვის შესრულდება; ნაცვლად 13.391 ათასი მანეთისა გამოიმუშავებენ 13.500 ათასი მანეთის პროდუქციას. მნიშვნელოვნად გაიზრდება გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. შრომის ნაყოფიერება 1978 წელთან შედარებით გაიზრდება 102 პროცენტით. რაიონის მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება საგეგმოსთან შედარებით 0,2 პროცენტით შემცირდება.

ტრანსპორტის მუშაკები 1979 წლის ყველა დავალებას 25 დეკემბრისათვის შეასრულებენ. გეგმის გადამეტებით გადაზიდავენ 5 ათას ტონა ტვირთს და გადაიყვანენ 60 ათას მგზავრს. წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზრდება ტექნიკური და საექსპლოატაციო მაჩვენებლები.

საამოსახმარებლო კოოპერაციისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში: მომსახურების სფეროში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდება მშრომელთა კულტურული მომსახურების დონის ასამაღლებლად. განმტკიცდება სახელმწიფო და შრომის დისციპლინა.

სამომხმარებლო კოოპერაციაში საქონელბრუნვის გეგმა შესრულდება 105 პროცენტით, მოსახლეობას გეგმასთან შედარებით 160 ათასი მანეთით მეტი სამრეწველო და სასურსათო საქონელი მიეყიდება.

მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება: 1979 წლის გეგმები შესრულდება 20 დეკემბრისათვის. წინა წელთან შედარებით მომსახურების დონე გაიზრდება 15 პროცენტით. **აბაშელთა სიტყვა და საქმე ერთი იქნება!**

ზვრების ბარაქა

ვაზისუბანი

მარშანდელი **წელი სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრეს რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა, განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს მევენახეებმა. მათ სამშობლოს მისცეს 574 ათასი ტონა ყურძენი, მევენახეობის ისტორიაში პირველად გადალახულია ნახევარმილიონიანი ზღვარი. ამ წარმატებებში საპატიო წვლილი შეიტანეს გურჯაანელმა მევენახეებმა — მათ სახელმწიფოს მარნებში მიიტანეს 114 ათასი ტონა ყურძენი. რაიონის 18 საზოგადოებრივმა მეურნეობამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა ყურძნის დამზადების გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები. მათ შორის არის ვაზისუბნის კოლმეურნეობაც — მან სახელმწიფოს მიჰყიდა 10.200 ტონა ყურძენი.**

ვაზისუბნელებმა ხუთწლედის მეოთხე წელს ახალი ვალდებულება იკისრეს.

მევენახეობა: კოლმეურნეობაში სიმეჩხრის მინიმუმამდე შემცირებისა და აგროწესების მკაცრი დაცვის, სანიმუშო მოვლა-პატრონობის შედეგად გაიზრდება ყურძნის მოსავლიანობა.

ამჟამად კოლმეურნეობის 1.062 ჰექტარი ვენახი დამუშავებულია მაღალი აგროტექნიკის მოთხოვნების შესაბამისად, შეტანილია საკმაო რაოდენობის მინერალური და ორგანული სასუქები. ახლა ვაზს სხლავენ. ცარიელი ადგილების შევსება მოხდება ვაზის გამორგვით, გადაწვენითა და მხრის გაგრძელებით. წლეულს გადაწვენენ და გამორგავენ 100 ათას ძირ ვაზს, მხარი გაუგრძელდება 120 ათას ვაზს, რაც კიდევ უფრო გაზრდის ყურძნის ჰექტარობრივ მოსავლიანობას.

სერიოზულ ამოცანებს ისახავენ ვაზისუბნელი მევენახეები ახალი ვენახების გაშენების საქმეშიც. შარშან 70 ჰექტარი ახალი ვენახი გაშენდა, ამასთან ამოიძირკვა დაბერებული ვაზები, წელს კიდევ 80 ჰექტარზე ჩაიყრება ვაზი.

კოლმეურნეობას მიწის სხვა ფართობები არ გააჩნია და ამიტომ ველი, ამორტიზებული ვენახეზის ადგილას გაშენდება ახალი ვენახები.

ყოველივე ეს კოლმეურნეობას საშუალებას მისცემს 1979 წელს საშუალოდ ჰექტარზე 125 ცენტნერი ყურძენი მოიწიოს. მევენახეობის შემდგომი ინტენსიფიკაცია როგორც რაიონის, ისე ვაზისუბნის კოლმეურნეობის ერთადერთი სწორი მიმართულებაა, ეს კურსი ნაკარნახევია ძაწის ხიბლირით!

კოლმეურნეობის ეკონომიკის განმტკიცებისათვის ბრძოლაში გარკვეული ხვედრითი წილი უკავია მეცხოველეობას, მეხილეობას, მებოსტნეობა-მებაღჩეობასა და მეაბრეშუმეობას.

ვაზისუბნელი კოლმეურნეები 1979 წელს იმისათვის იბრძვიან, რომ მიაღწიონ ახალ მიჯნებს, მათი მტკიცე გადწყვეტილებაა აწარმოონ 10.500 ტონა ყურძენი.

გარდა ამისა მიიღებენ 500 ტონა ხილს, 1.000 ტონა ბოსტნეულს, 500 ტონა ბაღჩეულს, 300 ტონა რძეს, 80 ტონა ხორცს, 300 ათას ცალ კვერცხს, 12 ტონა აბრეშუმის პარკს და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

ვაზისუბნელი მევენახეები საპატიო წვლილს შეიტანენ მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის სამეურნეო-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისათვის ბრძოლის საქმეში.

ხუთწლედის ადამიანები



სანამ **გაზაფხულის დადგებოდეს, სოფლის მშრომელები გულდასმით ემზადებიან — არემონტებენ ტექნიკას, იმარაგებენ კონდიციურ თესლს და სხვ. ასეა გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებშიც. მომარაგებული თესლის ხარისხს ამოწმებენ ლაბორატორიაში.**

გურჯაანის რაიონის მეთესლეობის ინსპექციის თანამშრომლებმა საგაზაფხულო თესვისათვის 21 ათასი ცენტნერი მარცვალი უნდა შეამოწმონ და კონდიციამდე აიყვანონ. მეთოდისტი აგრონომები 9 კოლმეურნეობისათვის, 7 საბჭოთა მეურნეობისა და სხვა მეურნეობებისათვის გულმოდგინედ ამოწმებენ ხორბლის, ქერის, შვრიის, ლობიოს, სოიისა და მზესუმზირას თესლს.

ინსპექციის თანამშრომლები ამოწმებენ ვაზის დამყნობის ხარისხს, კონტროლს უწევენ ახალი ვენახების გაშენებას.

სურათზე: გურჯაანის რაიონის მეთესლეობის ინსპექციის ლაბორანტი ეკატერინე თათარაშვილი ანალიზს უკეთებს თესლს.

ი. დავითაშვილის ფოტო, (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მათ თავი ისახელეს



ბათუმის **ტრანსფორმატორების ქარხანაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ღირსეული შეხვედრისათვის. შრომითი მეტოქეობის ავანგარდში არიან საწარმოს ქვეგანაყოფების ის კოლექტივები და ინდივიდუალურად მომუშავენი, რომლებმაც უკვე შეასრულეს ხუთწლიანი გეგმები. ერთ-ერთი მათგანი ტრანსფორმატორების ამწყობთა ბრიგადა ალეკო გოგეიშვილის მეთაურობით. ამ ბრიგადის წევრების ნახელავ პროდუქციას ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭა.**

მოპოვებული წარმატებით აღფრთოვანებული ბრიგადის წევრები, ამჟამად ყოველდღიურ გეგმებს სისტემატურად დიდი გადაჭარბებით ასრულებენ და არჩევნების — ამ დიდმნიშვნელოვანი კამპანიის შესახვედრად გაშლილი შეჯიბრების ავანგარდში დგანან.

სურათზე: ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის ამწყობ ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელი ალეკო გოგეიშვილი.

ნ. ანასტასიევის ფოტო, (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მხარი დავუჭიროთ პატრიოტულ თაოსნობას

უზრუნველყოთ მეცხოველეობის სტაბილურად მაღალი მაჩვენებლები

აჭარელ მეცხოველეთა მიმართვა საქართველოს სსრ ყველა მეცხოველისადმი

ჩვენ, **აჭარის ასსრ სუბტროპიკული ბაღების მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, საქმიანად ეემზადებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნებისათვის. მოსკოვის საწარმოთა კოლექტივების მაგალითისამებრ, ფართოდ ვაჩაღებთ სოციალისტურ შეჯიბრებას წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის, მიმდინარე ხუთწლედის მეოთხე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.**

ჩვენ ვიბრძვით სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების შესახებ, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის საპროგრამო მითითებების პრაქტიკული განხორციელებისათვის და შეკეთილი ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში გვეწარმოებინა და სახელმწიფოსათვის მიგვეყიდა 292.780 ტონა მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი, 141,1 პროცენტით შეგვესრულებინა საგეგმო დავალება.

უხვი მოსავალი მოვიწიეთ შარშან. აჭარამ 97 ათას ტონაზე მეტი ციტრუსი დაამზადა. ბევრმა მეურნეობამ კი; რომლებმაც უზრუნველყვეს ბაღების სათანადო მოვლა, რეკორდული მოსავალი მოიწიეს. მაგალითად, ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ მოკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარა 1.175 ტონა ციტრუსი, რაც ჰექტარზე გადაანგარიშებით 21,8 ტონას შეადგენს. ციხისძირის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა სახელმწიფოს ჩაბარა 1.858 ტონა ნაყოფი, ანუ 17,4 ტონა თითოეულ ჰექტარზე, ციტრუსების წარმოებაში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს აგრეთვე ახალსოფლის, ჩაისუბნის, მეჯინისწყლის კოლმეურნეობებმა, ახალშენის, ალამბრის, კვირიკის, ჯიხანჯურის საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა მეურნეობებმა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სოფელ მეჯინისწყლის კოლმეურნეობის მეოთხე ბრიგადის კოლექტივის მიღწევა, რომელსაც ხელმძღვანელობს სოციალისტური შრომის გმირი მამუდ მიქელაძე. ბრიგადამ ჰექტარზე საშუალოდ 28 ტონა მანდარინი და ფორთოხალი მოკრიფა.

**და მაინც, ჩვენი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი გადამეტებით დავძლიეთ 1980 წლისათვის მეციტრუსეობაში დასახული მიჯნა, მიღწეულს ვერ დავჯერდებით, რადგან ამ დარგში ახლაც დიდი გამოუყენებელი რეზერვები და შესაძლებლობები გვაქვს, მათ შორის უმნიშვნელოვანესია ბაღების მოვლა. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ საზოგადოებრივ სექტორში ციტრუსის საშუალო მოსავლიანობა გაცილებით მცირეა, ვიდრე სოფლის მოსახლეობის პირად



◆ ტექნიკური პროგრესი დროის მოთხოვნაა

◆ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია მოქმედებს

...თანაგონება ...ერომაში

...რუსთავის მეტალურგიულ ქარ...ანაში — ამიერკავკასიის შავი ...ეტალურგიის პირმშოში — ის...ობა განსხვავება ფიზიკურ და ...ონებრივ შრომას შორის. მუშებს ...ავიანთი შრომა მიაჩნიათ არა ...არტო მატერიალური კეთილდღე...ობის წყაროდ, არამედ მისგან ...ორალურ და სულიერ კმაყოფი...ლებას გრძნობენ. შრომა ფრთას ...ასმს მათ, ამდიდრებს მათს ცო...ნას, რომელიც ინჟინრულს უახ...ლოვდება, უმაღლებს კვალიფიკა...ციას.

...ამაზე, თუ რა ვზებით მიაღწიეს ...ამას, ლაპარაკია ქვემოთ გამოქვე...ყნებულ წერილში.

მეტალურგები. უკან იტოვებს ...ზით გადამწვარ სამგორის ველს ...და მიქრის წინ, იქ, სადაც ელე...ტრონათურებით გაჩახჩახებული ...ესებულიკის უდიდესი ინდუსტ...რიული ქალაქი რუსთავი.

...ახალგაზრდა ქალაქი — ომისშე...დგომი ხუთწლედების პირმშო — გამოშვებული ლითონის ცის...ფერ ნაბერწკლებს ყრის, გუგუ...ებს მეტალურგიული, ქიმიური, ...ეკმეტის, აშენებელი, სხვა ...ალრნების საამქროებით და ადა...ამიანთა ხმებით. ქალაქში, სადაც ...0 წლის წინათ გაჩნდა პირველი ...ქურჩები, პირველი სახლები, სა...ადაც ახლა 120 ათასამდე კაცი ...ცხოვრობს, დღედაღამ ჩქეფს და...ბუღელი შრომა.

ქალაქის დაარსებიდან ხუთი ...ლის შემდეგ, ქართული საბჭოთა ...ეტალურგიის შექმნის გარიჟრაჟ...ე, მთიდან ჩამოვიდა და რუსთა...ის მეტალურგიულ ქარხანაში ...ოვიდა სოფელი ჰაბუკი პავლე ...ვა კუხალეიშვილის წარმატებანი ...ი საბჭოთა კავშირის ორდენებით აღინიშნა.

ეს და სხვა ამგვარი ბევრი მა...გალითი, მოწმობს, რომ ქარხანა...ში მიმდინარეობს ფიზიკურ და ...ონებრივ შრომას შორის არსები...თი განსხვავების ლიკვიდაციის ...პროცესი.

ამჟამად რუსთავის მეტალურგიუ...ლ ქარხანაში შეუდგნენ მეცნიე...რულ-ტექნიკური რევოლუციის ...დიდმნიშვნელოვან ეტაპს, რომ...ელიც გადაწყვეტილია 1980 წლი...სათვის დაამთავრონ. ყველაზე ...დიდ ეფექტს გვპირდება წარმოე...ბის კომპლექსური მექანიზაცია ...და ავტომატიზაცია; ლითონების ...გადამუშავების მექანიკური მეთო...დებიდან ფრიად ინტენსიური და ...უნარჩენო ფიზიკურ-ქიმიურ პრო...ცესებზე გადასვლა; წარმოებაში ...თერმოატომური, ელექტრონული, ...რადიაქტიური, ნახევარგამტარია...ნი, ულტრაბგერითი თვისებების ...გამოყენება.

თუ დღეს ამ ქარხნის საამქროებში გაივლით, პირველი, რაც თვალში მოგხვდებათ, ეს არის დიდძალი ავტომატიკა. მართვის ფარებზე, პულტებზე წარწერილია: „ფოტორელე“, „პროგრამა“, „დამუხრუჭების დაწყების ბლოკი“, „გამყვანი მაძლიერებლები“, „არითმომეტრული მოწყობილობა“, „კვების ბლოკი“. ლურჯ სპეცტანსაცმელებში გამოწყობილი მუშების გვერდით სულ უფრო ხშირად შეხვდებით თეთრხალათიან ადამიანებს. ესენი ლაბორანტები არიან. წარსულს ბარდება მძიმე, ნაკლებად კვალიფიციური ფიზიკური შრომა, ამიტომ ქრება ამ სახეობის შრომასთან დაკავშირებული ბევრი პროფესია. უკვე აღარ არის მაგალითად, ხელის და ნაკლებად მექანიზებული სამუშაოები დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების დროს. ოდესღაც ყველაზე მარტივ სამუშაოს დამხმარე მუშა ასრულებდა. ხოლო ქარხანა-ავტომატში, როგორიც რუსთავის ქარხანა გახდება, „ძირეულ“ პროფესიად იქცევა გამმართველის პროფესია. იგი თვალყურს ადევნებს მექანიზმების მუშაობას და განახორციელებს ღონისძიებებს, რათა ავტომატიკის მთელი ფაქიზი და რთული აპარატურა უწყნდა მუშაობდეს. გამმართველები მაღალკვალიფიციური სპეციალისტები არიან, რომელთა შრომა ცოტა რამით თუ განსხვავდება ტექნიკოსისა და ინჟინრის შრომისაგან.

გამოანგარიშებულია რომ რუსთაველი მეფოლადეები რთულმარკების ლითონის წარმოებისას თავიანთი სამუშაო დროის დაახლოებით 70 პროცენტს ახმარენ ტექნოლოგიურ გაანგარიშებებთან და რთული ხელსაწყოების დამზარებით დნობის პროცესებისადმი კონტროლთან დაკავშირებულ სხვადასხვა გონებრივ ფუნქციას.

ავტომატიკის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ მაღალკვალიფიციური, მაღალპროფესიული ადამიანი. ამიტომ ქარხანაში შექმნილ სასწავლო კომბინატში, ინჟინერთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე, საწარმოო ეკონომიკურ სემინარებზე და სკოლებში მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები ეუფლებიან ტექნიკური მეცნიერებების (ფიზიკის, მათემატიკის, ქიმიის) და გამოყენებითი მეცნიერებების (ელექტროტექნიკის, მექანიკის, თბოტექნიკის) საფუძვლებს. ახამებს რა შრომას სწავლასთან, ბევრი წერს მეცნიერულ შრომებს, იცავს დისერტაციას ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ემზადება სადოქტორო დისერტაციის დასაცავად. მაშასადამე, ინტელიგენციას დღეინდადგ ეფატებიან გუშინდელი მუშები და გლეხები. შრომა მათთვის ღრმად შემოქმედებითს პროცესად, მეცნიერულ-ტექნიკურ საქმიანობად იქცევა. ეს არის უკვე განათლებული, კულტურული მუშაკის ძალმექანიზებული შრომა, რომლის ყოველმხრივი ცოდნა ყველა შესაძლებლობას შექმნის არა მარტო თავისი სპეციალობის ღრმა შესწავლისათვის, არამედ აგრეთვე თავისი უნივერსალიზაციისთვისაც.

ქარხნის კოლექტივსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას შორის დადებული შემოქმედებითი თანამეგობრობის გრძელვადიანი ხელშეკრულება ითვალისწინებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში ძთელი რიგი სამუშაოების შესრულებას. ამასთან ამ სამუშაოებს უკვე ასრულებენ მეტალურგი მეცნიერნი სწორედ მუშებთან, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებთან მჭიდრო კავშირით. ყოველდღიურად ქარხნის საამქროებში შეხვდებით მეცნიერებს. ისინი კონსულტაციას უწევენ მეტალურგებს და, თავის მხრივ, სწავლობენ ძათი მუშაობის გამოცდილებას. სწავლობენ მათგან, აახლოებენ წარმოებას მეცნიერებასთან.

საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის, ცოდნის ჩვევების დაუფლების თავიანთი გამოცდილება რუსთაველებმა საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების ბევრ მონათესავე საწარმოს გაუზიარეს. რუსთაველ პრაქტიკა გაიარა ათობით რუმინელმა, ჩეხოსლოვაკიელმა, კუბელმა და ვიეტნამელმა მეტალურგმა.

ათასობით ქართველი მეტალურგი ყოველ საღამოს მიუჯდება ხოლმე სკოლებს, ტექნიკუმებისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჭერხებს, რომლის ფილიალი არის რუსთავში. სწავლობს ყველა: მამები და შვილები, ახალგაზრდა მუშები და ინჟინრები, ოსტატები და ოსტატის თანაშემწეები. სწავლობენ, რათა შეამსუბუქონ შრომა, შთაგონებით იშრომონ.

რიგითი მუშიდან გამომგონებლამდე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორამდე. ლენინური პრემიის ლაურეატამდე — ასეთია ქარხანაში სწავლის გაანგა. ასეთია ერთი სასწავლო ჯაჭვი წარმოებაში. და რამდენი ასეთი ჯაჭვი გაჭიმულია მთელ საბჭოთა კავშირში, სადაც განათლების უფლება უზრუნველყოფილია კონსტიტუციით.

რ. დავიდოვი.

ქ. რუსთავი.

მუშვიდობის კურსით

მთელ მსოფლიოში უდიდესი ინტერესი გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის პასუხმა ამერიკული ჟურნალის „ტაიმის“ კითხვებზე. მსოფლიო პრესის წამყვანმა ორგანოებმა ლ. ი. ბრეჟნევის. პასუხი გამოაქვეყნეს მთლიანად ან დაბეჭდეს მისი დაწვრილებითი შინაარსი. მიმომხილველების აზრით, ეს პასუხი კვლავ ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირი განუხრელად ახორციელებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაგრძელებისა და გაღრმავების, გამალებული შეიარაღების აღგმისა და განიარაღების კურსს.

ჟურნალი „ტაიმი“, რომელშიც გამოქვეყნებულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პასუხი, ახასიათებს მას როგორც „გამორჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს, ნიჭიერ ხელმძღვანელს, რომელსაც, როგორც მსოფლიო სახელმწიფოს ბელადს, საყოველთაო პატივისცემა აქვს მოპოვებული“. ჟურნალი აღნიშნავს, რომ ლ. ი. ბრეჟნევს უდიდეს პატივს სცემენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც იგი მეთაურობს, პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი.

„ტაიმის“ რედაქტორი ლ. ი. ბრეჟნევდან შეხვედრის ატმოსფეროს აღწერისას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელი განსაკუთრებით სერიოზულად, გულწრფელად და რეალისტურად მიუდგა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობისა და ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნების პრობლემებს. „ლ. ი. ბრეჟნევმა ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მშვიდობის იდეალებისადმი უსაზღვრო ერთგულებით, — თქვა ამერიკის საელჩოს მეორე მდივანი „ტაიმ ინკორპორეიტედის“ ვიცე-პრეზიდენტმა გ. გრიუნვალდმა. — იგი უეჭველია თანამედროვეობის გამჭრიახი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეა, რომელიც დაინტერესებულია მშვიდობის განმტკიცებით“.

პოლონური „ტრიბუნა ლუდუ“ განმარტავს საბჭოთა ხელმძღვანელის პასუხს და წერს, რომ როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა, სოციალისტური ქვეყნები არ ცდილობენ მიაღწიონ დასავლეთზე სამხედრო უპირატესობას.

სოციალისტურ ქვეყნებს, წერს ჩეხოსლოვაკიური „რუდე პრავო“, მხოლოდ საიმედო უშიშროება სჭირდებათ. ხოლო ორი ქვეყნის უშიშროება, უეჭველია, უფრო მტკიცე იქნება, თუ აილგმება გამალებული შეიარაღება, შემცირდება სამხედრო მზადება, გაჯანსაღდება საერთაშორისო ურთიერთობის პოლიტიკური კლიმატი.

საბჭოთა ხელმძღვანელმა განაცხადა, წერს ინგლისური „ფაინენშლ ტაიმსი“, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებში ზოგ-ზოგგეს ისე მოუვიდათ თვალში ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელობის მტრული კურსი საბჭოთა კავშირისადმი, რომ სძლიათ ცდუნებამ გამოიყენონ პეკინი სოციალიზმის სამყაროზე ზემოქმედების იარაღად.

ფრანგული „მატენი“ განმარტავს ლ. ი. ბრეჟნევის პასუხს და აღნიშნავს, რომ, როგორც საბჭოთა ხელმძღვანელმა თქვა, დაძაბულობის შენელება ეს არის გაოკვეული ნდობა და ერთმანეთის კანონიერი ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევის უნარი.

(საკდესი, 16 იანვარი).

პროპოკაციები გრძელდება

ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

პანოი, 16 იანვარი. (საკდესი). ჩინეთის ხელისუფალნი განაგრძობენ შეიარაღებულ პროვოკაციას ვიეტნამ-ჩინეთის საზღვარზე, ახალ დანაშაულს სჩადიან სასაზღვრო რაიონებში ვიეტნამელი მოსახლეობის წინააღმდეგ. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პროტესტების მიუხედავად, ჩინეთის მმართველი წრეები კვლავ არღვევენ ვიეტნამის ტერიტორიულ მთლიანობას, ნათქვამია ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

ჩინეთმა 14 იანვარს ცეცხლი დაუშინა კუანგნინის პროვინციის სოფელ ფაილაუს, რის შედეგადაც მოკვდა ერთი და დაიჭრა სამი ვიეტნამელი მოქალაქე. ხატუენის პროვინციაში ჩინელ სამხედრო მოსამსახურეთა რაზმმა იმავე დღეს ცეცხლი დაუშინა სასაზღვრო პუნქტს, ხოლო ხუანგლიეშონის პროვინციაში ჩინელი ჯარისკაცები შეიჭრნენ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და დაატყვევეს ორი ვიეტნამელი მესაზღვრე. ამ რაიონში მოხდა კიდევ ერთი შეჭრა, რომლის დროსაც ჩინელებმა დაჭრეს ერთი და დაატყვევეს მეორე ვიეტნამელი. იმავე დღეს ჩინეთის მხარემ ცეცხლი დაუშინა ლაოკაის პროვინციულ ცენტრს, დიდი ზიანი მიაყენა ქალაქის საცხოვრებელ შენობებსა და ხოკიეუს ხიდზე საბაჟო პუნქტს.



ნათელი მომავალი

ოდესაბა — ოლიმპიადა

ეროვნულ ეთოპიას გადაწყვეტილი აქვს ნათელი მომავალი შეუქმნას მოზარდ თაობას, ნათქვამია ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარის მენგისტუ ჰაილე მარიამის წერილში ქვეყნის საზოგადოებრიობის კონფერენციის მონაწილეებისადმი. ეს კონფერენცია ბავშვის საერთაშორისო წლის პროგრამის განხორციელების დაწყებას მიეძღვნა.

სახალხო ხელისუფლების პირველ წლებში, აღნიშნა ეთიოპიის დროებითი სამხედრო ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარემ, ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა მიგვეხედა ამ საკითხისათვის, რადგან იძულებული ვიყავით გვებრძოლა გარეშე და შინაური რეაქციის წინააღმდეგ, მოგვეგერიებინა აგრესია გარედან.

ამერიკის ზეგავლენით

ტოკიო. ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით იაპონია იძულებული იყო ბევრი რამ დაეთმო საფეიქრო ნაწარმის ორმხრივი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებაზე, რომელიც ტოკიოში დამთავრდა. კერძოდ, იაპონიის მხარე დათანხმდა იმ საქონლის სიის გაფართოებაზე, რომლის შეტანა ამერიკის ბაზარზე შეზღუდულია.

ვაჭრობა ურთიერთხელსაყრელი და აუცილებელია

ნიუ-იორკი, საბჭოთა კავშირთან ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობაზე დისკრიმინაციული შეზღუდვების გაუქმება და მისი ყოველმხრივ გაფართოება თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე ორი ქვეყნის ძირეულ ინტერესებს შეესაბამება. ასეთ მტკიცე რწმენას გამოთქვამენ საკდესის კორესპონდენტებთან საუბარში შეერთებული შტატების საქმიანი სავაჭროსა და ადგილობრივ ხელისუფალთა თვალსაჩინო წარმომადგენლები.

აგრესიის კურსი

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილების მიუხედავად ისრაელი კვლავ უხეშად ირღვევს ლიბანის სუვერენიტეტს და ერევა ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში. ლიბანში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებითი ძალების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კ. ვალდჰაიმის ამ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ ისრაელის ჯარები კვლავინდებურად ამ ქვეყნის ტერიტორიაზე არიან და იმაგრებენ პოზიციებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების შეყვანის მიზანი ის იყო, რომ დაეკავებინათ ლიბანის წინააღმდეგ აგრესიის დროს ისრაელის მიერ ოკუპირებული რაიონები და იქ აღედგინათ ლიბანის მთავრობის ძალაუფლება.

მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ ისრაელმა უპასუხოდ დატოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელთა კონკრეტული წინადადებანი სამხრეთ ლიბანში ნორმალური მდგომარეობის აღდგენის შესახებ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში ისრაელს მოქმედება მიაჩნიათ ლიბანის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და ამ ქვეყნის სუვერენული უფლებების პატივისცემის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების აშკარა საბოტაჟად.

საკდესი

ნამიბიელი ხალხი იბრძვის

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული ჩაგვრისაგან ნამიბიის სრული განთავისუფლება მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალების საქმიანობის მთავარი მიზანია. ნამიბიელი ხალხის განმთავისუფლებელ მოძრაობაში ახლანდელი ეტაპი — შეიარაღებული ბრძოლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ, დამოუკიდებლობის მიღწევის მთავარი საშუალებაა, რისთვისაც გამოიყენებენ სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის სახალხო ორგანიზაციის განკარგულებაში არსებულ ადამიანთა და მატერიალურ რესურსებს.

მიუხედავად ამისა, დასავლეთის ქვეყნები მიმართავენ გარიგებებს რასისტებთან, რაც მიზნად ისახავს იმპერიალისტური გავლენის შენარჩუნებას აფრიკის კონტინენტის სამხრეთში. თავიანთი ბატონობის დასამკვიდრებლად სამხრეთაფრიკელი რასისტები დასავლეთის მფარველთა დახმარებით ცდილობენ ქვეყანას თავს მოახვიონ მარიონეტული რეჟიმი.

მაგრამ ნამიბიელი ხალხი ქედს არ იხრის ნეოკოლონიალისტების წინაშე. სისტემატურად იმართება დემონსტრაციები და მიტინგები რასისტთა მორიგი ფარსის — ეგრეთწოდებული „არჩევნების“ ჩატარების წინააღმდეგ. სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის სახალხო ორგანიზაციას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ნამიბიაში ააშენოს სამართლიანი, უკლასო საზოგადოება, სადაც არ იქნება ექსპლოატაცია და რასიზმი.

სურათზე: ქალაქ ვინდჰუკის მცხოვრებთა მიტინგი.

აპ-საკდესის ფოტო.

ირანის შაჰი ტოვებს ქვეყანას

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. (საკდესი). ირანის შაჰი დღეს უჩინრად გამემგზავრა თავისი ქვეყნიდან. მისი ნაჩქარევი გამგზავრება დასავლელმა კორესპონდენტებმა თავდაპირველად მხოლოდ სარწმუნო წყაროებით შეიტყვეს. ოფიციალურად კი ეს მხოლოდ მას შემდეგ გამოაცხადეს, როცა შაჰის თვითმფრინავმა დატოვა ირანის საზღვრები და კურსი აიღო ასუანისაკენ. აეროდრომი, საიდანაც მისი თვითმფრინავი აფრინდა, ჯარებით იყო გაჭედილი, გადაკეტილი ჰქონდათ აეროპორტისაკენ მიმავალი ყველა გზა. უცხოელ ჟურნალისტებს, რომლებსაც შაჰის გამგზავრების მომენტის აღბეჭდვის დიდი სურვილი ჰქონდათ, უთხრეს, იგი პრესკონფერენციაზე გამოვალ თქვენს წინაშე, მაგრამ არავითარი პრესკონფერენცია არ გამართულა. და ნამდვილ კორესპონდენტები აქეთ-იქით გაჰყვედათ, შაჰი ვერტმფრინავით მივიდა აეროპორტში.

აფორმებენ სეპარატულ გარიგებას

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. (საკდესი). დაიწყო მორიგი რაუნდი „მაძიერი დიპლომატიისა“, რომელსაც შეერთებული შტატები ახორციელებს იმ მიზნით, რომ დაიჩაროს ეგვიპტე-ისრაელის სეპარატული გარიგების ოფიციალური გაფორმება. ამჯერად „საზავო“ ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად ახლო აღმოსავლეთში გაემგზავრნენ ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო დავალებათა ელჩი ა. ატერტონი და სახელმწიფო დეპარტამენტის იურიდიული მრჩეველი გ. ჰენსელი.

მსოფლიო საზოგადოებრიობა პროტესტს აცხადებს

ნეიტრონული ბომბი

საფრთხეს უქმნის მშვიდობას

იტალიურმა გაზეთმა „ანტიფაშისტამ“ გამოაქვეყნა მარიო მამუკარის სტატია ნეიტრონული ბომბის შესახებ. ახალი ამბების სააგენტო ანგელტო მკითხველებს სთავაზობს ამ სტატიის მცირეოდენი შემოკლებით.

ეროვნიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გადაწყვეტილება ნეიტრონული ბომბის „ძირითადი კომპონენტების“ წარმოების დაწყების შესახებ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა.

იმიტომ რომ:

პირველი, ეს კვლავ აძლიერებს გამალებულ შეიარაღებას, განსაკუთრებით ბირთვულ შეიარაღებას.

მეორე, იგი კიდევ უფრო აძლიერებს გადახრას კაპიტალურ დაბანდებათა პოლიტიკაში, ანუ პირდაპირი და არაპირდაპირი სამხედრო ხარჯების ზრდას სახელმწიფო ბიუჯეტის დანარჩენი მუხლების საზარალოდ;

მესამე, იგი აფერხებს და ცდილობს შეაჩეროს დაძაბულობის შენელების პროცესი, რომლის წინააღმდეგაც ილაშქრებენ ამერიკული და ევროპული იმპერიალისტები, ამასთან ერთად კი სამწუხაროდ, ჩინეთიც, რომლის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს მესამე მსოფლიო ომის გარდაუვალობის თეზისი.

კარტერის გადაწყვეტილება საფრთხეს უქმნის ევროპას, რადგან ნეიტრონული ბომბი, როგორც ამერიკის პრეზიდენტმა ბრძანა, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და ნატოს ქვეყნებში, უწინარეს ყოვლისა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და იტალიაში უნდა განლაგდეს.

კარტერის არგუმენტები ნეიტრონული ბომბის წარმოების გასამართლებლად ყოვლად უსაფუძვლოა, უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ გამომდინარეობს ისტორიულად და პოლიტიკურად მცდარი დებულებიდან, თითქოს საბჭოთა კავშირი შეიძლება აგრესორი გახდეს. ისტორია გვასწავლის, რომ აგრესორები იყვნენ და არიან კაპიტალისტური და იმპერიალისტური ქვეყნები, რომელთა პოლიტიკას საფუძვლად უდევს ადამიანის ექსპლოატაცია მოგების გულისთვის.

იმპერიალიზმი არაფერს არ თაკლობს, ოღონდ შეაფერხოს სოციალიზმის აშენების პროცესი. გამალებული შეიარაღებაც ამ მიზნის მიღწევას ემსახურება. იგი აიძულებს საბჭოთა კავშირს კარტერის გადაწყვეტილებას უპასუხოს ატომური იარაღის სიმძლავრის გაზრდით და სრულყოფით, რაც არამწარმოებლური ხარჯების გადიდებას გამოიწვევს.

იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რაოდენ ყალბია აზრი, თითქოს ნეიტრონული ბომბი ტაქტიკური და „წმინდა“ იარაღი იყოს, საკმარისია გავიხსენოთ მისი გამოყენების შედეგები.

ნეიტრონული ბომბის დამანგრეველი ძალა სულ ცოტა 1000 ტონა ტროტილს შეესაბამება. მისი აფეთქება ეპიცენტრიდან 200 მეტრის, რადიუსში სპობს ხალხს, სახლებს, ტექნიკას, ცხოველებსა და მცენარეებს. მისი გამოსხივება 850 მეტრ რადიუსში ადგილზე კლავს ადამიანს, ვინც თავშესაფარში, 48 საათის განმავლობაში კვდება. ყოველივე ცოცხალი იღუპება 1600 მეტრ რადიუსში, ანუ 8 კვადრატულ კილომეტრზე, რაც უდრის იტალიის ისეთ ქალაქებს, როგორიც არის პადუა, ვაბლიკის ცნობისათვის მოწინავე მებრძოლად, ნეონაციზმის კრიტიკოსად და ატომური შეიარაღების მოწინააღმდეგედ ითვლებოდა. ახლა, როგორც ჩანს, იგი „ომის გარდაუვალობის“ მაოისტური (იქნებ, ფაშისტური?) თეზისის მსხვერპლი გამხდარა. იგი უომოდ ვერავითარ პერსპექტივას ვერ ხედავს. „ყოველ შემთხვევაში, ისტორიის გამოცდილება სხვაგვარ გზას ვერ გვიჩვენებსო“, — წერს იგი.

ჰაფნერი ლაპარაკობს „მეორე მსოფლიო ომის საშინელებებზე“, მაგრამ ამტკიცებს, რომ ისეთი ხალხები, როგორიც არიან, მაგალითად, საბჭოთა ხალხი, პოლონელები, ებრაელები, რომლებმაც ყველაზე მეტი უბედურება განიცადეს, ომის მაძლობელნი უნდა იყვნენო, რადგან „სწორედ ეს ომი დაეხმარა მათ გამხდარიყვნენ ისეთნი, როგორიც ამჟამად არიანო“.

სებასტიან ჰაფნერს — ჰიტლერისა და „ცივი ომის“ იდეების ქადაგს — საერთო არა აქვს რა ჰაინრიხ ჰაინესთან. დიდ პოეტსა და მოაზროვნეს სწადდა: „...ხალხები ვერ შეურიგდებიან, რომ არისტოკრატიის დამქაშები შუღლსა სთესავდნენ და ომს აჩაღებდნენ. დამკვიდრდება ხალხთა კავშირი, ერთა უშინდესი ალიანსი. ჩვენთვის საჭირო აღარ იქნება ასაოთასობით მკვლელი. მათ ხმლებსა და ცხენებს სახნავად გამოვიყენებთ. ჩვენ მივაღწევთ მშვიდობას, კეთილდღეობასა და თავისუფლებას“. ეს სიტყვები დღეს ისევე აქტუალურია, როგორც 1830 წელს, როცა ისინი ითქვა.

დიუსელდორფში მომხდარმა სკანდალურმა ამბავმა ფართო გამოხმაურება გამოიწვია. ქალაქის ორმა გულადმა მოქალაქემ — მხატვარმა ჰ. პ. ალვერმანმა და პუბლიცისტმა მატიას იუნგმა ყიურის ღია საპროტესტო წერილი გაუგზავნეს. ამ წერილს ასობით ადამიანმა მოაწერა ხელი. დიუსელდორფს ყიურის გადაწყვეტილება დაგმო ჰამბურგის ჰაინრიხ ჰაინეს საზოგადოებამ. ქალაქის მმართველობა აღფოთებით აღსავსე წერილებს იღებს საფრანგეთის საზოგადოების „ჰაინეს მეგობრების“ წევრებისგანაც. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროგრესული საზოგადოებრიობა მოითხოვს, რომ ჰაინრიხ ჰაინეს სახელობის 1978 წლის პრემიის მინიჭების გადაწყვეტილება გაბათილონ.

პეტერ შუტი,

დასავლეთგერმანელი პუბლიცისტი.

ჰაინეს პრემია-ნაცისტებს?!

ნაცისტები ჰაფნერისათვის ხალხის ნების მატარებელნი არიან. ისინი მხოლოდ 1944 წელს შემობრუნდნენ „საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ“. ამის საფუძველზე იგი ნიურნბერგის პროცესს „უიღბლო წარმოდგენას“ უწოდებს. საერთაშორისო ანტიფაშისტურ მოძრაობას, რომელმაც ნაცისტური ტერორისტული რეჟიმის დამხობა გამოიწვია, ჰაფნერი საერთოდ არაფრად არ აგდებს. ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეუძლია კაცს, რომელიც ნაცისტებმა ქვეყნიდან გააძევეს მხოლოდ იმიტომ, რომ ებრაელი ცოლი ჰყავდა, ასე გასწიროს საკუთარი წარსული.

სამოციან წლებში ჰაფნერი გერმანიის დემოკრატიული რესპუ...

უცხოელი პუბლიცისტები „კომუნისტის“ ფურცლებზე

• გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სკანდალი მოხდა: ქალაქ დიუსელდორფმა ჰაინრიხ ჰაინეს სახელობის 1978 წლის პრემია მიანიჭა პუბლიცისტ სებასტიან ჰაფნერს. ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში უმრავლესობა ქალაქის წარჩინებულნი არიან, ეს გადაწყვეტილება მიიღო რვა ხმით ოთხის წინააღმდეგ. გადაწყვეტილება ასე დასაბუთეს: „წერილები ჰიტლერის შესახებ — ჰაფნერის უკანასკნელი ნაწარმოები — არსებითი წვლილია ჩვენი წარსულის, მაშასადამე აგრეთვე ჩვენი აწყოს გასაგებად“.

როგორც ქალაქ დიუსელდორფის მიერ 1972 წელს დაწესებულ ჰ. ჰაინეს სახელობის პრემიის დებულებაშია ნათქვამი, იგი უნდა მიენიჭოს პირებს, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით იცავენ ადამიანის ძირითად უფლებებს, რომლებისთვისაც ჰაინე იბრძოდა, „ხელს უწყობენ სოციალურ და პოლიტიკურ პროგრესს, ემსახურებიან ხალხთა შორის ურთიერთგაგების საქმეს“. ჰაფნერისეული „წერილები“ კი, რომლებსაც უკვე რამდენიმე თვეა დასაღეთ გერმანიაში პროპაგანდას უწევენ როგორც ლიტერატურულ-ფილოსოფიურ შედევრს, ბოლო ხანს კი ზოგიერთი მხარის სკოლებშიც კი სწავლობენ, სრულიადაც არ „უწყობს ხელს პროგრესს და არ ემსახურება ხალხთა ურთიერთგაგებას“. წიგნი არამარტო აჰყოლია თანამედროვე „ჰიტლერულ ტალღას“, არამედ გარკვეული თვალსაზრისით სულიერი ქაფიც გახდა ამ ტალღის ქეჩოზე. აქაფების სპეციალისტი ჰაფნერი, — მაგრამ აქ ყოველთვის შეიძლება ბილიკის გაკვალვა“. სწორედ ამ ბილიკებს კვალავს ავტორი. იგი უარყოფს ჰიტლერის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაში მსხვილი გერმანული კაპიტალის როლს და „უმნიშვნელოს“ უწოდებს მას. ჰაფნერი ყოველგვარი შენიშვნების გარეშე იზიარებს ფაშისტურ იდეოლოგიას. იგი ამტკიცებს: „რა „შეცდომებისაგან განთავისუფლებული“, გაწმენდილი ფაშიზმის, „ბარბაროსული თვისებებისაგან გაწმენდილი ჰიტლერის სახის“ პოტმხრეზე, რომელიც ობივატელს შეუძლია ყოველგვარი მორცხვობისა და სინდისის ქენჯნის გარეშე მისაბაძ ნიმუშად მიიჩნიოს.

„ისტორია ჯუნგლია, — წერს ჰაფნერი, — მაგრამ აქ ყოველთვის შეიძლება ბილიკის გაკვალვა“. სწორედ ამ ბილიკებს კვალავს ავტორი. იგი უარყოფს ჰიტლერის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაში მსხვილი გერმანული კაპიტალის როლს და „უმნიშვნელოს“ უწოდებს მას. ჰაფნერი ყოველგვარი შენიშვნების გარეშე იზიარებს ფაშისტურ იდეოლოგიას. იგი ამტკიცებს: „რა თქმა უნდა, ჰიტლერმა აღაფრთოვანა მასები, მაგრამ სრულიადაც არ ჰქონდა მიზნად ამით მხარი დაეჭირა მმართველი კლასებისათვის. იგი კლასობრივი პოლიტიკოსი არ ყოფილა, ხოლო მის ნაციონალ-სოციალიზმს ყველაფერი შეგიძლიათ უწოდოთ ფაშიზმის გარდა“.

ნაცისტები ჰაფნერისათვის ხალხის ნების მატარებელნი არიან. ისინი მხოლოდ 1944 წელს შემობრუნდნენ „საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ“. ამის საფუძველზე იგი ნიურნბერგის პროცესს „უიღბლო წარმოდგენას“ უწოდებს. საერთაშორისო ანტიფაშისტურ მოძრაობას, რომელმაც ნაცისტური ტერორისტული რეჟიმის დამხობა გამოიწვია, ჰაფნერი საერ...

ალიარება

უმაღლესი პრიზი — ქართველ მხატვარს ნოდარ მალაზონიას

ყოველწლიურად იტალიაში ინაართება ტურისტული პლაკატების საერთაშორისო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობენ ევროპის, აზიისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების ტურისტული ფირმები და ორგანიზაციები.

ამ ზაფხულს სიცილიის ქალაქ კატანიაში გამართულ პლაკატების XII საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობდა 28 ქვეყანა და 13 ავტოკომპანია. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უცხოეთის ტურიზმის თავარმა სამმართველომ საბჭოთა მხატვრების სხვა ნამუშევრებთან ერთად გამოფენაზე გააგზავნა საქართველოს დამსახურებული მხატვრის ნოდარ მალაზონიას ხუთი პლაკატი თემაზე — „გეპატიჟებათ საბჭოთა საქართველო!“ ესენია მაღალმხატვრული ოსტატობით შესრულებული „ინახულეთ თბილისი“, „საქართველოს ძეგლები და მუზეუმები“, „ქართული სამზარეულო“, „ეკიერავეთ ავტომანქანა“ და „ალექსანდრე დიუმა კავკასიაში“.

ქართველი მხატვრის ხუთივე ნამუშევარმა დაიმსახურა გამოფენისათვის დაწესებული ორი უმაღლესი ჯილდო — **„ოქროს medal“**, რომელსაც სპეციალისტების საგანგებო ჟიური საუკეთესო ნამუშევრებს ანიჭებს ხოლმე და მეორე, ასევე აღიარებული პრიზი — **იტალიის პრეზიდენტის ვერცხლის medal.** იგი მხატვრთა ხმის უმრავლესობით გადაიცემა.

ეს ნოდარ მალაზონიას პირველი გამარჯვება არ არის. მან ჯერ კიდევ ამ ოცი წლის წინათ, სრულიად ახალგაზრდამ, ბერლინში გამართულ პოლიტიკური პლაკატის საერთაშორისო გამოფენაზე მოიპოვა გამარჯვება. მაშინ მის ნამუშევარს „ეს აღარ განმეორდება!“ პირველი პრემია მიენიჭა. მას შემდეგ ნ. მალაზონიას პლაკატებმა არა ერთ რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო გამოფენებზე დაიმსახურა მოწონება.

ამავე დროს ნ. მალაზონია დიდი წარმატებით მუშაობს კარიკატურაში, წიგნის გრაფიკასა და მცირე ფორმის არქიტექტურული ანსამბლების გაფორმებაში. დიდი წარმატება ხვდა ნ. მალაზონიას ალბომებს: „წარსულის სურათები“, „ჩემი სოფლის სურათები“ და ფაშიზმზე გამარჯვების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილ გრაფიკული სურათების სერიას.

ამჟამად მხატვარი საქართველოს სსრ მინინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს დაკვეთით მუშაობს სარეკლამო პლაკატების სერიაზე: „თბილისი“, „კახეთი“, „ვარძია“, „აფხაზეთი“, „სვანეთი“, „ქუთაისი“, „აჭარა“.

ახლახან სასტუმრო „აჭარის“ პრესდარბაზში გაიმართა ნოდარ მალაზონიასთვის იტალიაში მოპოვებული საპატიო პრიზების საზეიმო გადაცემა, ამასთან დაკავშირებით დარბაზში შეიკრიბნენ ქართველი მხატვრები, მწერლები, ჟურნალისტები.

ქართველ მხატვარს საერთაშორისო გამოფენაზე მიღწეული წარმატება მიულოცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსმა ლ. მატარაძემ.

ნ. მალაზონიას შემოქმედებაზე ილაპარაკეს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ნ. დუმბაძემ, რესპუბლიკის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ პროფესორმა ნ. ჯანბერიძემ.

საზეიმო გადაცემას ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ვ. ხინთბა.

ლ. ტატიშვილი.

* * *

სურათებზე: ზევით — ნ. მალაზონიას პლაკატები: „ქართული სამზარეულო“ და „ალექსანდრე დიუმა კავკასიაში“; ქვევით — ქართველი მხატვრის მიერ მოპოვებული ჯილდოები: სპეციალური დიპლომი, იტალიის პრეზიდენტის ვერცხლის medal და „ოქროს medal“.

საბჭოთა არმია ალზრდის სკოლაა!

სავალდებულო სამხედრო სამსახური წრთობის დიდებული სკოლაა. ახალგაზრდობა აქ ეჩვევა შრომას, ამტანობას, დისციპლინას. ყოველივე ეს ნათლად არის ასახული მადლობის წერილებში, რომელსაც სამხედრო ნაწილების მეთაურებისაგან ჯარისკაცთა შობლები იღებენ.

აი ერთ-ერთი მათგანი: თბილისი, ლიანა და ალექსანდრე ქავთარაძეები. მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ თქვენი შვილი ნიკოლოზი ჩვენი ნაწილის ერთ-ერთი მოწინავე მებრძოლია. სამხედრო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია. საუცხოო დისციპლინით, სამხედრო ნაწილის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით და თავმდაბლობით მან მეთაურთა და თანამებრძოლთა სიყვარული დაიმსახურა. გილოცავთ შვილის წარმატებას და გვჯერა, რომ იგი ყოველთვის იქნება სამშობლოს მამაცი დამცველი, თქვენ კი, ნიკოლოზის შშობლებო, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებას შრომაში.

ამგვარი შინაარსის წერილები მიიღეს სამხედრო. ნაწილებიდან ჯარისკაცის ელდარ ქიტაიშვილის შშობლებმა ნატაშამ და გიორგიმ, ალექსანდრე ლორთქიფანიძის შშობლებმა როზატამ და ილიებმა, ვაჟა ჯეირანოვის შშობლებმა ეკგენიამ და მიხეილმა, ნოდარ ნიაურის შამამ გიორგიმ, როინო ხაბეიშვილის შშობლებმა ნუნუმ და გივიმ, თენგიზ ხარჩილავას შშობლებმა გულიმ და გონამ, ანზორ ძაგანიშვილის შშობლებმა თებრომ და გრიგოლმა, კორნელი ტატიშვილის შშობლებმა ვარდიკომ და ნოდარმა, ზურაბ კუძიევის შშობლებმა მაყვალამ და ბაგრატმა, ალექსანდრე ჯაფარიძის შშობლებმა ნთელამ და დიმიტრიმ, რობინზონ ტატიშვილის შშობლებმა ლიანამ და კონსტანტინემ, თეიმურაზ მაისურაძის შშობლებმა ეკეეკამ და ნიკოლოზმა, ზურაბ ჯანანაშვილის შშობლებმა ციალამ და ივანემ, გიორგი ტაბატაძის შშობლებმა თამარმა და რომანმა, დავით გოლაშვილის შშობლებმა ციალამ და ალექსნდრემ, ზურაბ ბზიკიძის შშობლებმა ლიანამ და სერგომ.

— ჩვენი შვილი რელი მეორე კურსის სტუდენტი იყო, როდესაც საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს, — გვწერენ გუდაუთელები ნინო და რევაზ ქადარიები. — პირველი მადლობის წერილი გაწვევიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ მივიღეთ. ეს წერილი დაიბეჭდა „რიონულ გაზეთ „ბზიფში“, სადაც ვკითხულობთ, რომ რელი ქადარიას მინიჭებული აქვს სერჟანტის წოდება.

მალე შშობლებმა მადლობის მეორე წერილი მიიღეს. ნაწილის მეთაური ნ. პავლოვი ნინოსა და რევაზს სწერდა: „სამხედრო სამსახურისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება, დისციპლინა, თავმდაბლობა, მაღალი პოლიტიკური მომზადება — აი, რით ხასიათდება თქვენი შვილის ყოველდღიური ცხოვრება. ჩვენ ერთხელ კიდევ გვინდა მადლობა მოგახსენოთ ასეთი ახალგაზრდის აღზრდისათვის, თქვენ კი ჯანმრთელობასა და წარმატებას გისურვებთ ცხოვრებაში“.

ბევრ საერთოს იპოვით სამხედრო ნაწილების მეთაურებისაგან გამოგზავნილ მადლობის წერილებში. ისინი ჯარისკაცების შშობლებს თამარ და ვალერიან ფირცხალავეებს, ულენე და ამირან ბილიხოძეებს, თინა და ალექსანდრე რთველაძეებს, თინათინ და რობერტ ჩარგეიშვილებს, ქეთევან და გიორგი ივანიშვილებს და ნინო და იოსებ ბოჭორმელებს სწერენ, რომ მათი შვილები არმაზი, სოსო, დავითი, კონსტანტინე, ბახვა და ვასილი სანმიუშონი არიან სამხედრო ნაწილში, გამოირჩევიან შრომისმოყვარეობით, სამხედრო საქმის ცოდნით, პოლიტიკური მოშზადებით.

მადლობის წერილები მიიღეს აგრეთვე ეკგენია და როსტომ აბაშიძეებმა, ელენე ასლამაზოვამ, ეფემია და რევაზ მთიულიშვილებმა, ელენე და ივანე ბესიაშვილებმა. სამხედრო ნაწილის მეთაურები იტყობინებიან, რომ გივი აბაშიძე, რევაზ პორფიროვი, ნოდარ მთიულიშვილი და არტემ ბესიაშვილი სანმიუშო მებრძოლები, მეთაურთა დავალების უნაკლო შემსრულებლები, დისციპლინიანი მებრძოლები არიან და მიღებული აქვთ არაერთი წამახალისებელი ჯილდო.

ცეკვა „სიმღი“
(სოლისტები ლია ქავთარაძე და ვახტანგ ლუკავა).
ს. კილაძის ფოტო.

შვილი ჯარში მსახურობს

განძი ხალხის გულისა

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტებზე

ქართულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაზე ფიქრი ისევე დაუსრულებლად შეიძლება, როგორი უსასრულო და უკიდეგანოც თვითონ ეს შემოქმედებაა. ამიტომ გასაკვირი არ არის, როგორ ისეთი ვირტუოზული კონცერტების მოსმენის შემდეგ, როგორიც ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა გამართა ს. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, ამგვარი ფიქრები კვლავ აღგვძროდა და მათი სხვებისათვის გაზიარების სურვილი დაგვბადებოდა. ამ სურვილმა გვიკარნახა დაგვეწერა ეს წერილი, რომლის მიზანია შეძლებისდაგვარად გამამხვილოს საზოგადოებრივობის ყურადღება ანსამბლის შემოქმედებითს შუშაობაზე, მით უმეტეს, რომ ეს ანსამბლი სადღეისოდ ჩვენი ხალხური მუსიკის მთავარი ციტადელია.

მდიდარია ჩვენი ხალხური მუსიკა, ძლიერია მასში ხალხური გენიის მაჯისცემა. ქართველ კაცს სულის მოძრაობის არც ერთი კუნჭული არ გაეჩინა, რომ ის სიმღერაში არ გამოეხატოს. სიმღერაშიეე ასახა მან თავისი ოფლითა და სისხლით ნაპოხი მიწა-წყალი, თავისი მთა-ბაჭრი, თავისი ტყეველი, და კაცი თუ კარგად ჩაუკვირდება, ამ სიმღერებში ქართველი ხალხის ისტორიაც შეუძლია ამოიკითხოს.

სიყვარულთან ერთად მზრუნველობასაც არ აკლებდა ხალხი თავის საუნჯეს. ამის ერთ-ერთი გამოხატულება იყო გასული საუკუნის 70-ან წლებში გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ლადო აღნიაშვილის თაოსნობით პირველ ქართველ მომღერალთა გუნდის ჩამოყალიბება, რომელსაც ჩვენი მუსიკოსი რატილი ხელმძღვანელობდა და რომელშიც დასაბამს პოულობს ჩვენი სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

აღნიაშვილისა და რატილის შემდეგ ქართულ ხალხურ მუსიკას ბევრი ქომაგი გამოუჩნდა, განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდში, როდესაც ეროვნული მუსიკის მოვლა-პატრონობა სახელმწიფოებრივ მზრუნველობის საქმედ იქცა. ასეთ ქომაგთა რიგებს მიეკუთვნებიან ცნობილი ხალხური მომღერლები სამეულ ჩავლეიშვილი, ვარლამ სიმონიშვილი, ბაბილო ერქომაიშვილები, ძუკუ ლოლუა, რემა შელუბია, აქსესტი მეგრელიძე, მიხა ჯიღაური, ვანო მჭედლიშვილი, ცნობილი მომღერალი და ლოტბარი კირილე პაჭკორია და სხვები, რომლებმაც, თუმცა სათანადო მუსიკალური განათლება არ ჰქონიათ, მაგრამ ბუნებით დაჯილდოებულთ, ზეპირად იცოდნენ ხალხური სიმღერის ყოველი ხმა და ყოველი ნიუანსი.

მათთან ერთად უნდა მოვიხსენიოთ ქართული სიმღერის ტრფიალი სანდრო კავსაძე, რომელსაც სათანადო განათლება ჰქონდა, იცოდა ნოტება, წერდა სიმღერებს, უკრავდა ვიოლინოს და არც ფორტეპიანო იყო მისთვის უცხო ინსტრუმენტი. და ბოლოს, სანდრო კავსაძის შვილიშვილი, პაპაკავით დიდად ნიჭიერი მუსიკოსი რესპუბლიკის სახალხო არტისტი ანზორ კავსაძე, რომელმაც ხანგრძლივად და წარმატებით იმოღვაწა სახელმწიფო ანსამბლში.

დღეს ანსამბლის ხელმძღვანელია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გურამ ბაქრაძე, ხოლო მთავარი ქორეოგრაფი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბუხუტი დარახველიძე, რომლებმაც პირველად გამოიყვანეს ანსამბლი ახალი შემადგენლობით ამას წინათ გამართულ კონცერტებზე. მომღერალთა გუნდში 40 მამაკაცია. ამ შემადგენლობით ლოტბარი გურამ ბაქრაძე აღწევს მის სრულყოფილ ხმოვანებას. რეპერტუარშია მთელი საქართველოს, მისი ყოველი კუთხის სიმღერები, რომლებიც ფემოვნებით არის განლაგებული საკონცერტო პროგრამაში.

სიმღერათა მოწინავე ჯგუფიდან, რომლებსაც განსაკუთრებული ოსტატობით წარმოგვიდგენს ანსამბლი, უპირველეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ სვანური სიმღერა „კვირია“. ამ გოლიათურ სიმღერას, რომელსაც მთის ჰიმნი შეიძლება ეწოდოს, დიდი შთაგონებით ასრულებს ანსამბლი. იგი თვალშეუდგამად მწვერვალივით არის აღმართული კონცერტის პროგრამაში. ასევე დიდებულად ხმოვანებს გურული „კალოს ხელი“. დამოუკიდებელ ხმათა მძვინვარე შერკინებებზე აგებული ეს მონოლითური სიმღერა მსმენელთა აღტაცებას იწვევს. მართალია, ანსამბლს არ ჰყავს კრიმანჭულის მთქმელი, რის გამოც გურული სიმღერები რეპერტუარში ცოტაა, მაგრამ ეს სერიოზული შეცოდება „გამოსყიდულია“ „კალოს ხელხვავის“ ბრწყინვალე შესრულებით. დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს „გარეკახური საჭიდაო“, რომლის წარმატება უპირველესად სოლისტ როსტომ საგინაშვილის დამსახურებაა. „გარეკახური საჭიდაოს“ რომ ისმენთ, თქვენ წინაშე გადაიშლება ჩვენი ცხოვრების ეპიკური სურათები: ლხინი, დღეობა, ღამის თევა, გახურებული ჭიდაობა, ხალხის რკალში ჩამდგარი დოინჯშემოყრილი ჭაბუკი ლალად რომ მღერის და აგულიანებს გალომბულ ფალავნებს. არ იცი კაცმა, ამ საკონცერტო ნომერს ეპიკური სიმღერა უწოდო თუ ეპიკური სურათი, იმდენად მაცდუნებელია საგინაშვილის ნიჭიერი ამღერება.

სოლისტებს შორის ასევე უყურადღებას იქცევს მომღერალი ჯემალ ცხვედიანი, რომელსაც დაკისრებული აქვს სოლოს შესრულება მეგრული სიმღერა „ოდოიაში“. „ოდოია“ სოლისტისაგან მოითხოვს ძლიერ ხმას, არტისტიზმსა და შემარხეობას. ცხვედიანის შესრულება ჩინებულად უპასუხებს ყველა ამ მოთხოვნას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ გუნდი ვერ აგვარგვინებს სოლისტის ჩინებულ წამოწყებებს. „ოდოიას“ შესრულებაში თითქოს ყველაფერი თავის ადგილზეა, მაგრამ ვერ აღწევს იმ ემოციურ ტონუსს, რაც ამ უბადლო სიმღერას გამოარჩევს, ვფიქრობთ, რომ დაშვებულია შეცდომა, როდესაც „ოდოია“ პროგრამით „ეკიარეას“ მოსდევს. ეს უკანასკნელი იმდენად შთანთქავს გუნდის ემოციურ ძალებს, რომ მის შემდეგ შეუძლებელი ხდება იმავე ძალის ახალი ემოციური ტალღის განმეორება. საჭიროა გარკვეული დისტანციის დაცვა, რომ გუნდმა ძალა მოიკრიბოს „ოდოიას“ შესასრულებლად.

კარგად ეღგრდა მეგრული სიმღერა „ოჩეშხვი“, რომელმაც გაგვაცნო კიდევ ერთი შესანიშნავი სოლისტი ზაურ ქაფოძე. იგი ასევე შესანიშნავად უძღვება კონცერტის დასკვნითს ნომერში სვანური „ცერულის“ საეკვაო სიმღერას. მომხიბლავი იყო სვენდით აღსავსე აფხაზური „დაჭრილის სიმღერა“, რომლის სოლოს ერმა განცდით გადმოგვცემს მომღერალი ზაურ გოგოლაშვილი.

საკონცერტო პროგრამაში ეთნოგრაფიისაგან განსხვავებით დგას „საგალობელი“ და გურული „ბატონებო“, რომელიც, ჩემი აზრით, ასევე საგალობლად უნდა მივიჩნიოთ. საგალობელი ასე ვთქვათ, ლიტერატურულ-მუსიკალური ენაზე ამეტყველებული ნაწარმოებია და ამდენად აკადემიურად უნდა სრულდებოდეს. ამისათვის გურამ ბაქრაძეს დიდი გამოცდილება აქვს. იგი ხომ წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სახელმწიფო კაპელას. სამტომ იყო, რომ საგალობლები უნაკლოდ ეღერდა. აკადემიური შესრულებით გამოირჩეოდა აგრეთვე სიმღერა „სულეკო“, რომელიც სანახაობითი თვალსაზრისითაც სასიამოვნო იყო: ყოველ მომღერალს ხელში უპყრია ჩონგური, უკრავს და თან დამღერის მშვენიერ ჰანგს.

საგაზეთო წერილი საშუალებას არ იძლევა ყველა სიმღერას გამოვეხმაუროოთ, მაგრამ საგანგებოდ გვინდა შევეხოთ იმერულ სიმღერას „კეისრულს“. ეტყობა, სიმღერა „კეისრულს“ განსხვავებულად აფასებდა ხალხი. საქმე ის გახლავთ, რომ სიმღერის სახელწოდებასა და ტექსტში გარკვეული ანაქრონიზმია. სახელწოდებაა „კეისრული“, ხოლო სიმღერა სრულდება სიტყვებზე: „მიყვარს ფაცხა მე მეგრული“. ბუნებრივად იბადება კითხვა, სად მეგრული ფაცხა და სად კეისარი? ვფიქრობთ, რომ „კეისრული“ არ იყო ამ სიმღერის ადრინდელი სახელწოდება, ეს მას შემდგომმა თაობებმა შეაჩქეს. ამ შემთხვევაში სახელწოდება „კეისრული“ ნახმარია ამაღლებულის, დიადის სინონიმად, რითაც ხალხმა თავისი ოცნებანი, ფიქრები, ოცნებანი, ფიქრები, ოცნებანი, ფიქრები,